

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რ. გაფრინდაშვილი, მ. ლვინიანიძე,

თ. გოზალიშვილი

r. gafrindaSvili, m. RvinianiZe,  
T. gozaliSvili

ზოგადი ქიმიური ტექნოლოგიის  
ლაბორატორიული პრაქტიკუმი

ზოგადი ქიმიური ტექნოლოგიის  
ლაბორატორიული პრაქტიკუმი

მესამე გადამუშავებული გამოცემა



„ტექნიკური უნივერსიტეტი”

დამტკიცებულია სტუ-ს  
სარედაქციო-საგამომცემლო  
საბჭოს მიერ

თბილისი  
2019

უაპ 66(075)

როსტომ გაფრინდაშვილი, მზია ლვინიანიძე,  
თინათინ გოზალიშვილი.

ზოგადი ქიმიური ტექნოლოგიის ლაბორატორიული პრაქტიკური.

წარმოდგენილია ტიპური ქიმიურ-ტექნოლოგიური ლაბორატორიული სამუშაოები „ზოგადი ქიმიური ტექნოლოგიის“ თეორიულ კურსში სასწავლო გეგმით განხილული ტექნოლოგიური პროცესების თვალსაჩინოებისა და ეფექტურად ათვისებისათვის. სამუშაოები შერჩეულია ლაბორატორიის ტექნიკური შესაძლებლობებისა და ფაკულტეტზე არსებული სპეციალობების შესაბამისად

განკუთვნილია ქიმიური ტექნოლოგიისა და მონათესავე სპეციალობების უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის

რეცენზები პროფესორი ნ. მუმლაძე

©საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2008

ISBN

<http://gtu.ge/publishinghouse/>

ზოგადი ქიმიური ტექნოლოგიის შესწავლის პროცესი ითვალისწინებს ლექციების მოსმენასა და პრაქტიკული და ლაბორატორიული სამუშაოების შესრულებას. სწავლების ამ სამი ფორმის შერწყმით სტუდენტი იძნეს საკმარის საფუძვლებს ნებისმიერი ქიმიურ-ტექნოლოგიური სპეციალობის შესასწავლად.

წინამდებარე დამხმარე სახელმძღვანელოში შეტანილია სამუშაოები, რომლებიც გათვალისწინებულია პომოგენური, ჰეტეროგენული, მაღალტემპერატურული, კატალიზური, ელექტროქიმიური და სხვა ტიპური პროცესების განხორციელების, აგრეთვე, ნედლეულის მომზადების, ანალიზისა და გარემოს მონიტორინგის მეთოდების შესასწავლად.

სასწავლო გეგმის მიხედვით ზოგადი ქიმიური ტექნოლოგიის ლაბორატორიაში სტუდენტი ატარებს პირველ ტექნოლოგიურ გამოკვლევას, ეცნობა თეორიულ კურსში მოსმენილ საკითხებს როგორც მოცემული პრაქტიკუმით, ასევე ცალკეულ ამოცანებში რეკომენდებული დამატებითი ლიტერატურით. პროფესორთან გასაუბრების შემდეგ სტუდენტი დებულობს დაგალებას და ასრულებს ექსპერიმენტულ სამუშაოს.

კვლევის შედეგების მიხედვით სტუდენტი ასრულებს საჭირო გააანგარიშებებს და ადგენს ანგარიშს, რომელშიც შედის დავალება და სამუშაოს მიზანი, ტექნოლოგიური დანადგარის სქემა, ანგარიშები, გრაფიკები და დასკვნები.

ყოველი სტუდენტისათვის პროფესორი არჩევს დავალებას მისი მომავალი სპეციალობის გათვალისწინებით.

## I სამუშაო


### სულფიდური მაღნების გამოწვა

სულფიდური მაღნების გამოწვა ჰაერის ნაკადში ტიპური პროცესია, რომელიც გამოიყენება ფერად მეტალურგიაში როგორც ფერადი ლითონების კონცენტრატის გადამუშავების პირველი სტადია, ხოლო გოგირდმჟავის, ცელულოზისა და ზოგიერთ სხვა წარმოებაში გოგირდის დიოქსიდის მისაღებად. კანონზომიერებები, რომლებსაც ეფუძნება ეს ჰეტეროგუნული მაღალტემპერატურული არაკატალიზური პროცესი, მართებულია ნებისმიერი სულფიდური ნედლეულისათვის. სულფიდური ნედლეულია: გოგირდის ალმადანი –  $\text{FeS}_2$ , პიროტინი –  $\text{Fe}_2\text{S}_3$ , ქალკოპირიტი –  $\text{CuFeS}_2$ , სპილენის კრიალა –  $\text{Cu}_2\text{S}$ , თუთის მატფუარა –  $\text{ZnS}$  და სხვ.


განვიხილოთ სულფიდური ნედლეულის გამოწვის კანონზომიერებები გოგირდის ალმადნის გამოწვის მაგალითზე. გოგირდის ალმადნი გოგირდოვანი აირის წარმოების ძირითადი ნედლეულია. იგი შედგება მინერალ პირიტისა და მინარევებისაგან. ქიმიური რეაქციები, რომლებიც ალმადნის გამოწვის დროს მიმდინარეობს, შეიძლება ასეთი ჯამური განტოლებით გამოვსახოთ:



ფაქტობრივად სულფიდური მაღნების გამოწვის დროს მიმდინარეობს რამდენიმე ქიმიური რეაქცია, რომელთაც, ძირითადად, ტემპერატურა განაპირობებს. ყველა ეს რეაქცია, ისევე როგორც გამოწვის მთელი პროცესი, შეუქცევადია.  $500^{\circ}\text{C}$ -ზე მეტად გაცხელებით თერმოდინამიკურად არამდგრადი  $\text{FeS}_2$  სწრაფად დისოცირდება:



გამოყოფილი გოგირდი მაშინვე იწვის, წარმოქმნის რა გოგირდოვან აირს:



$600^{\circ}$ -ზე უფრო მაღალ ტემპერატურაზე რკინის სულფიდი იქანება. ეს პროცესი საფეხურებად მიმდინარეობს ჯერ  $\text{FeO}$ -ს, შემდეგ კი  $\text{Fe}_3\text{O}_4$ -ისა და  $\text{Fe}_2\text{O}_3$ -ის თანამიმდევრული წარმოქმნით. რეაქციათა ჯამური განტოლება ასე შეიძლება დაიწეროს:



$\text{SO}_2$ -ის ნაწილი იქანება რკინის ოქსიდების კატალიზური ზემოქმედების შედეგად და მცირე რაოდენობით წარმოქმნება გოგირდის ანჰიდრიდი -  $\text{SO}_3$ . რკინის სულფიდის მარცვლები დაუანგვის პროცესში იფარება რკინის ოქსიდების აფსკით (ფურჩით), რაც ამნელებს უანგბადის დიფუზიას  $\text{FeS}$ -ის ჯერ კიდევ დაუუანგბავი ბირთვისაქენ და გოგირდოვანი აირის უპუდიფუზიას აირად ფაზაში. დიფუზიის ეს ნელი პროცესში განსაზღვრავს ალმადნის გამოწვის საერთო სიჩქარეს.

ალმადნის გამოწვით მიღებული აირი, ღუმლის ტიპისაგან დამოკიდებულებით, შეიცავს 7-13%  $\text{SO}_2$ -ს, 4-11%  $\text{O}_2$ -ს, 0,5%-მდე  $\text{SO}_3$ -ს; დანარჩენი აზოტია. გამოწვის მყარი ნარჩენი – ნამწვი – რკინის ოქსიდებისაგან შედგება ( $\text{Fe}_2\text{O}_3$  და  $\text{Fe}_3\text{O}_4$ ). იგი შეიძლება შეიცავდეს ზოგიერთი ლითონების სულფატებს, კვარცს, ალუმინილიკატებსა და 0,5-2%-მდე ამოუწვავ გოგირდს.

ალმადნის (ისევე როგორც ყველა სხვა სულფიდური ნედლეულის) გამოწვის ოპტიმალური პირობების განსაზღვრა შეიძლება პროცესის სიჩქარეზე სხვადასხვა ფაქტორების გავლენის ანალიზით. ამ დროს მიმდინარე ჰეტეროგენული

პროცესის სიჩქარე შეიძლება ასეთი განტოლებით გამოვ-  
სახოთ:

$$u = \frac{dC_{so_2}}{d\tau} = K_m F \Delta C,$$

სადაც  $u = \frac{dC_{so_2}}{d\tau}$  არის გამოწვის საერთო სიჩქარე, გამო-  
სახული პროდუქტის ( $\text{SO}_2$ ) რაოდენობის წარმოებულით  
დროში;  $K_m$  - მასაგადაცემის კოეფიციენტი;  $F$  - ფაზათა შო-  
რის ზედაპირის სიღრღვე;  $\Delta C$  - გამოწვის პროცესის მამო-  
რავებელი ძალა რომელიც დამოკიდებულია ჟანგბადის შემც-  
ველობაზე ჰაერში და გოგირდის კონცენტრაციაზე ალმადა-  
ნში. წვის პროცესის სიჩქარე შეიძლება გაიზარდოს  $K_m$ -ის,  
 $F$ -ისა და  $\Delta C$ -ს გადიდებით.

გამოწვის  $\Delta C$  მამოძრავებელი ძალის გადიდება შეიძ-  
ლება სულფიდური ნედლეულის გამდიდრებით მრავალჯერადი  
ფლოტაციის გზით, რის შედეგადაც შეიძლება მაღანში პირი-  
ტის ( $\text{FeS}_2$ ) შემცველობა 90%-მდე და უფრო მეტადაც გაი-  
ზარდოს. ასევე გაადიდებს მამოძრავებელ ძალას ჰაერის გა-  
დიდრება ჟანგბადით.

მუშაობის დროს გამოსაწვავი ნაწილაკების ზედაპირ-  
თან ჟანგბადის უფრო სრულად მიღწევის უზრუნველსაყოფად  
მას აწვდიან  $1,2\text{-}1,8\text{-ჯერ}$  მეტს თეორიულად გაანგარიშებულ  
სტექიომეტრიულ რაოდენობასთან შედარებით.

მასაგადაცემის  $K_m$  კოეფიციენტის გადიდება შეიძლება  
პროცესის ტემპერატურის ამაღლებით და ღუმელში ჰიდრო-  
დინამიკური რეჟიმის ინტენსიფიცირებით, რაც ხელს უწყობს  
ალმადნის ნაწილაკების არევას ჰაერის ნაკადში. ტემპერატუ-  
რის ამაღლება, თუმცა აჩქარებს ქიმიურ რეაქციებსა და დი-  
ფუზიას, შეიძლება მხოლოდ ოპტიმალურამდე. ღუმლის ტი-

პისაგან დამოკიდებულებით ოპტიმალური ტემპერატურა შეი-  
ძლება მერყეობდეს  $850$ -დან  $1000^{\circ}\text{C}$ -მდე. მისი შემდგომი გა-  
დიდება არ არის ხელსაყრელი ამოსავალი რეაგენტის –  
ალმადნის – თერმული უძდგრადობის გამო: იგი ადვილად  
ცხვება მსხვილ კოშტებად, რაც მკვეთრად ამცირებს ფაზათა-  
შორის ზედაპირს და აფერხებს ღუმლის მუშაობას.

ფაზათაშორისი  $F$  ზედაპირის გასადიდებლად მაღანს  
განუწყვეტლივ ურევენ, რაც არა მარტო ამცირებს დიფუზურ  
წინააღმდეგობებს, არამედ ავითარებს და აახლებს რკინის  
სულფიდის ჰაერის ჟანგბადთან შეხების ზედაპირსაც. შიგა-  
დიფუზურ წინააღმდეგობათა შესამცირებლად და შეხების ზე-  
დაპირის გასადიდებლად გამოსაწვავად იყენებენ დაქუცმაცე-  
ბულ ალმადანს, რომლის ნაწილაკების ზომაა  $0,03\text{-}0,3$  მმ.

სულფიდური ნედლეულის გამოსაწვავად გამოიყენება  
სამი ტიპის ღუმელი: მექანიკური თაროებიანი, მტვრისებური  
ალმადნის გამოსაწვავი და ალმადნის შეწონილ (ფსევდო-  
მდუღარე) მდგომარეობაში გამოსაწვავი.

მექანიკურ თაროებიან ღუმლებში დაქუცმაცებული ალ-  
მადანი იწვის მის თაღებზე (თაროებზე) დაყრილ ფენაში. თა-  
ღებზე გამოსაწვავ მასალას გადაადგილებენ და ურევენ სპე-  
ციალური მექანიკური სარევებით. ამ ტიპის ღუმლების მუშა-  
ობის ინტენსივობა დღეღამებში აღწევს  $225$  კგ ალმადანს თა-  
ღის  $1 \text{ m}^2\text{-ზე}$ . ალმადნის მტვრისებურ მდგომარეობაში გამო-  
საწვავ ღუმლებში წმინდად დაქუცმაცებული ნედლეული გაი-  
ფრქვევა, ხოლო ფსევდომდუღარე მდგომარეობაში გამოწვისას  
ალმადანი შეტივტივებულია ჰაერის ნაკადში.

ამჟამად მექანიკურ თაროებიან ღუმელს შედარებით  
იშვიათად იყენებენ მისი მცირე მწარმოებლურობის გამო.  
მუშაობის უფრო მაღალი ინტენსივობით და მიღებულ აირში  
 $\text{SO}_2$ -ს მაღალი კონცენტრაციით (ფსევდომდუღარე ფენიან  
ღუმლებში – 15%-მდე) გამოირჩევა ალმადნის მტვრისებურ

და შეწონილ მდგომარეობაში გამოსაწვავი ღუმლები. ამას გარდა მათ სხვა უპირატესობებიც ახასიათებს:

1. გამოსაწვავი მასალის მაღალი დისპერსულობა, რაც ამცირებს შიგადიფუზურ წინააღმდეგობებს და ავითარებს ფაზათაშორის ზედაპირს;
2. ყველა ნაწილაკს ჰაერი ტურბულენტურად უვლის გარშემო, რაც უზრუნველყოფს ნედლეულის სრულ გამოწვას;
3. ჰაერის სიჭარბის კოეფიციენტის შემცირების შესაძლებლობა, რის შედეგადაც აირში იზრდება  $\text{SO}_2$ -ის კონცენტრაცია;
4. შეწონილ ფენაში მასალის ძვრადობა და დენადობა აადვილებს ღუმლიდან ნამწვის გამოტვირთვას.

ასეთი ტიპის ღუმლებში ადვილია გამოწვის მთელი პროცესის რეგულირება და ხერხდება მისი სრული ავტომატიზაცია. მათი ნაკლია დიდი მტკერწატაცება და შედეგად – აირის ძლიერი დამტკერიანება ( $300 \text{ g/m}^3\text{-მდე}$ ), რაც ძლიერ ართულებს აირის მტკრისაგან გაწმენდის პროცესს და მოითხოვს რთულ აპარატურას.


მოცემულ სამუშაოში შეისწავლება ტემპერატურის, ჰაერის სიჭარბის, ალმაღანში გროვირდის შემცველობისა და ნაწილაკების ზომების გავლენა გამოწვის სიჩქარეზე, რაც აისახება დროის მიხედვით აირში  $\text{SO}_2$ -ის კონცენტრაციის ან ღუმლის წარმადობის ცვლით.

### ალმაღნის გამოწვა უძრავ შრეში

ნახაზე მოცემულია უძრავ ფენაში ალმაღნის გამოსაწვავი ლაბორატორიული დანადგარის სქემა.

გამოწვისათვის იყენებენ ჰორიზონტალურ მილისებრ ელექტროლუმელს (9); ღუმლის ფაიფურის მილში ათავსებენ ალმაღნის წონაკიან ნავს (8); ღუმელში ტემპერატურა იზო-

მება თერმოწყვილით და რეგულირდება თერმორეგულატორით (6).



ალმაღნის გამოსაწვავად საჭირო ჰაერი ღუმელსა და მთელ დანადგარში გაიწოვება ასპირატორის (11) საშუალებით; ჰაერის მოცულობითი საჩქარე იზომება რეომეტრით (4), რომელიც დაგრადუირებულია ოთახის ტემპერატურაზე. ღუმლიდან გამოსული აირი გაივლის შთამთქმელ ჭურჭლებში (7), რომლებშიც ჩასხმულია იოდის (ან ბერთოლეს მარილის) ცნობილტიტრიანი ხსნარის განსაზღვრული რაოდგობა.

ცდის ჩასატარებლად  $0.01 \text{ g}$  სიზუსტით აწონილ ცნობილი შედეგნილობის  $1-2 \text{ g}$  ალმაღნის ათავსებენ ფაიფურის ნავში; როდესაც ღუმელი გაცხელდება საჭირო ტემპერატურამდე ნავი ფრთხილად შეაქვთ მილში და ათავსებენ რაც შეიძლება ახლოს თერმოწყვილის ბოლოსთან; საცობით სწრაფად და მჭიდროდ დახურავენ ღუმლის მილის ღია ბოლოს, რომელთანაც დაკავშირებულია ონკანების სავარცხელი (10), აღებენ 1 და 1' ონკანებს და ასპირატორის ონკანის (12) საშუალებით იწყებენ ჰაერის გატარებას დანადგარში. ამ დროს რაც შეიძლება სწრაფად უნდა დავამყაროთ ჰაერის სასურველი სიჩქარე რეომეტრის მიხედვით. ჰაერის გატარების დაწყებას აფიქსირებენ წამსაზომით, როგორც ცდის დასაწყისს.

ღუმლის აირის ანალიზს განუწყვეტლივ ატარებენ, თანამიმდევრულად გაატარებენ რა მის ნაკადს ნაკადს 1-1' და 2-2' ონკანების საშუალებით შთამნთქმელ ჭურჭლებში დროის გარკვეულ მონაკვეთებში, მაგალითად, 5 წთ-ის განმავლობაში თითოეულ ჭურჭლებში, ან ხსნარის გაუფერულებამდე და ჩაინიშნავენ გაუფერულების დროს. თუ ცდას არ აგრძელებენ ხსნარის გაუფერულებამდე, ყოველ 5 წუთში გადართავენ აირის ნაკადს ონკანების საშუალებით სხვა შთამნთქმელ ჭურჭლებში, ნამუშევარი ხსნარი გადააქვთ კონუსურ კოლბაში და  $\text{SO}_2$ -თან რეაქციაში შეუსვლელ ჭარბ იოდს ტიტრავენ ნატრიუმის თითოეულფატის 0,1 ნ ხსნარით; ინდიკატორად სახამებელს იყენებენ. გათავისუფლებულ ჭურჭლებში კვლავ ასხამენ იოდის ხსნარს და განაგრძნობენ ღუმლის აირის ანალიზს მანამ, სანამ გოგირდი პრაქტიკულად მთლიანად არ ამოიწვება ნიმუშიდან; როდესაც აირში  $\text{SO}_2$  აღარ დაფიქსირდება ანალიზს წყვეტება.

ცდის მსვლელობისას მუდმივ დონეზე ინარჩუნებენ ტემპერატურასა და ჰაერის მოცულობით სიჩქარეს.

მომდევნო ცდაში იღებენ აღმადნის ახალ წონაკს და ცვლიან პროცესის პირობებს: გოგირდის შემცველობას - 25-50%-ის ფარგლებში, ტემპერატურას -  $500-800^{\circ}\text{C}$ -ის, ხოლო ჰაერის მოცულობით სიჩქარეს - 5-10 მ<sup>3</sup>/სთ-ის ზღვრებში. ექსპერიმენტის შედეგებს გამოსახავენ გრაფიკულად კინეტიკური მრუდების სახით კოორდინატთა სისტემაში: ამომწვარი გოგირდის რაოდენობა-დრო. ამისათვის ანგარიშმობენ დროის გარკვეულ მონაკვეთებში ამომწვარი გოგირდის რაოდენობას ფორმულით:

$$G_s = 0,0016(nV_{I_2} - mV_{\text{Na}_2\text{S}_2\text{O}_3}),$$

სადაც  $G_s$  არის დროის მოცემულ მონაკვეთში ამომწვარი გოგირდის რაოდენობა, გ;  $V_{I_2}$  - შთამნთქმელ ჭურჭლელში მოთავსებული იოდის 0,1 ნ ხსნარის რაოდენობა, მმ<sup>3</sup>;  $V_{\text{Na}_2\text{S}_2\text{O}_3}$  - თითოეულფატის 0,1 ნ ხსნარის რაოდენობა, რომელიც ჭარბი იოდის გატიტვრაზე დაიხარჯა, მმ<sup>3</sup>.  $n$  და  $m$  - ხსნარების ნორმალობის შემასწორებელი კოეფიციენტები. 0,0016 - 1 მლ 0,1 ნ იოდის ხსნარის შესაბამისი გოგირდის რაოდენობა, გამოთვლილი შემდეგი რეაქციის მიხედვით:



იციან რა გოგირდის შემცველობა აღმადნის წონაკში, ანგარიშმობენ გოგირდის გამოყენების კოეფიციენტს, ან დროის გარკვეულ მონაკვეთში ამომწვარი გოგირდის რაოდენობის ფარდობას გოგირდის საერთო რაოდენობასთო.

აღსანიშნავია, რომ იოდომეტრული მეთოდი არ იძლევა ზუსტ შედეგს, რადგან  $\text{HI}$  უანგბადის მოქმედებით, განსაკუთრებით მუავა გარემოში, იშლება თავისუფალი იოდის გამოყოფით:



რომელიც ხელმეორედ შედის რეაქციაში ჭურჭლებში ახლად შემოსულ  $\text{SO}_2$ -ის ნაკადთან და ამიტომ გვიჩვენებს მის ნაკლებ რაოდენობას, ვიდრე სინამდვილეშია.

უფრო ზუსტ შედეგს მივიღებთ თუ იოდის ნაცვლად ბერთოლეს მარილის 3%-იან ხსნარს გამოვიყენებთ. ბერთოლეს მარილით  $\text{SO}_2$  იუანგება  $\text{SO}_3$ -ად და რჩება ხსნარში  $\text{H}_2\text{SO}_4$ -ის სახით:



ცდის შემდეგ მას ტიტრავენ  $\text{NaOH}$ -ის 0,1 ნ ხსნარით მეთოლნარინჯის, როგორც ინდიკატორის, თანაობისას. ამ შემთხვევაში ამომწვარი გოგირდის რაოდენობას ანგარიშობენ ფორმულით:

$$G_S = 0,0016V_{\text{NaOH}} \cdot K,$$

სადაც  $V_{\text{NaOH}}$  არის გატიტვრაზე დახარჯული  $\text{NaOH}$ -ის 0,1 ნ ხსნარის რაოდენობა, სმ<sup>3</sup>;  $K$  -  $\text{NaOH}$ -ის ხსნარის ნორმალობის შემასწორებელი კოეფიციენტი; 0,0016 – გოგირდის რაოდენობა, რომელიც შეესაბამება 0,1 ნ  $\text{NaOH}$ -ის 1 სმ<sup>3</sup>-ს შემდეგი რეაქციით:



ცდის შედეგები შეაქვთ ცხრილში.

ჩატარებული ექსპერიმენტული სამუშაოს  
გასაფორმებლად საჭიროა

- დაიხაზოს გოგირდის ალმადნის გამოწვის დანადგარის სქემა;
- ჩამოიწეროს მოცემულობა;
- გამოითვალის დროის თითოეულ მონაკვეთში ამომ-წვარი გოგირდის რაოდენობა (გ, %) და გოგირდის ამოწვის საერთო ხარისხი;
- ექსპერიმენტისა და გაანგარიშების შედეგები დაფიქსირდეს ცხრილში;
- აიგოს ამომ-წვარი გოგირდის რაოდენობის ამოწვის დროისაგან დამოკიდებულების კინეტიკური მრუდები.

ლიტერატურა									
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
ალმადნის წონაკი, გ	გოგირდის შემცველობა, ალმადნში, %	გოგირდის შემცველობა წონაკში, გ	გამოწვის ტემპერატურა	ჰაერის მოცულობითი სიჩქარე, სმ <sup>3</sup> /წ	ამოწვის დრო	0,1 ნ $\text{NaOH}$ -ის რაოდენობა, სმ <sup>3</sup>	ამომ-წვარი გოგირდის რაოდენობა, გ	ამომ-წვარი გოგირდის რაოდენობა, %	ამოწვის საერთო ხარისხი

- რ. გაფრინდაშვილი. ზოგადი ქიმიური ტექნოლოგია. “ტექნიკური უნივერსიტეტი”, თბილისი. 2003.
- В. С. Бесков. Общая химическая технология. Москва. Академкнига. 2006.
- А. Я. Авербух и др. Практикум по общей химической технологии. Москва. Высшая школа. 1979.

## II სამუშაო

### ნატრიუმის ტუტის მიღება ფერიტული მეთოდით

ნატრიუმის ტუტის მიღების ფერიტული ხერხი სამრეწველო მასშტაბებით ამჟამად იშვიათად გამოიყენება; იგი უფრო საინტერესოა ლაბორატორიული ტექნიკის თვალსაზრისით, რადგან ამ სამუშაოს შესრულების დროს სტუდენტი მრავალ ქიმიურ-ლაბორატორიულ ოპერაციას ასრულებს და ეუფლება ლაბორატორიაში მუშაობის ჩვევებს. მეთოდი ითვალისწინებს ნატრიუმის ფერიტის –  $\text{Na}_2\text{O} \cdot \text{Fe}_2\text{O}_3$  – მიღებასა და შემდეგ მის დაშლას წყლით. ნატრიუმის ფერიტი წარმოიქმნება კალცინირებული სოდის შეცხობით რკინის ოქსიდთან მაღალ ტემპერატურაზე:



შენაცხობის წყლით გამოტუტვით წარმოიქმნება ნატრიუმის ტუტე და რკინის ოქსიდი:



ტუტის მოცილებისა და გარეცხვის შემდეგ რკინის ოქსიდს კვლავ აბრუნებენ პროცესში ახალი კაზმის მოსამზადებლად.

ნატრიუმის ტუტის ფერიტული მეთოდით მიღების ძირითადი ოპერაცია არის კალცინირებულ სოდასთან რკინის ოქსიდის შეცხონის მაღალტემპერატურული ჰეტეროგენული პროცესი, რომელიც მყარი ამოსავალი რეაგენტების მონაწი-

ლეობით მიმდინარე ენდოთერმული რეაქციის ტიპური მაგალითია.

მაღალი ტემპერატურის გამოყენება არის ენდოთერმული რეაქციების ინტენსიუტიკაციისა და საბოლოო პროდუქტის წარმოქმნის მხარეს წონასწორობის გადახრის ძირითადი ხერხი. მაღალ ტემპერატურას დიდი მნიშვნელობა აქვს მყარი რეაგენტების ურთიერთქმედებით მიმდინარე პროცესებში; იგი მთლიანად ან ნაწილობრივ აღღობს რეაგენტებს (ან ერთ-ერთს), რაც მკვეთრად ადიდებს დიფუზიის სიჩქარესა და ფაზათა შეხების ზედაპირის ფართობს.

სოდისა და რკინის ოქსიდის ურთიერთქმედება შესამჩნევია უკვე  $680^{\circ}\text{C}$ -დან. რეაქციის სიჩქარე მკვეთრად მატულობს, როცა ტემპერატურა  $851^{\circ}\text{C}$ -მდე, ე. ი. კაზმის ყველაზე უფრო ადვილინობადი კომპონენტის – სოდის – ლილობის ტემპერატურის ზევით იზრდება. ტემპერატურის გარდა (ა) რეაქციის სიჩქარეზე მოქმედებს რეაგენტების ნაწილაკების ზომა, რკინის ოქსიდის თვისებები, კაზმში სოდისა და რკინის ოქსიდის რაოდენობრივი თანაფარდობა.

მორეაგირე ნაწილაკების ზომების შემცირებით იზრდება რეაგენტების შეხების ზედაპირი და მცირდება შიგადიფუზუზური წინააღმდეგობები, ამიტომ კაზმის დასამზადებლად იყენებენ წმინდად დაქუცმაცებულ სოდასა და რკინის ოქსიდის (ნაწილაკების ზომა არა უმეტეს 1 მმ). განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რკინის ოქსიდის წმინდად დაფქვა, რადგან იგი შეცხობისას მყარ მდგომარეობაში იმყოფება.

ფერიტის წარმოქმნის სიჩქარეზე ძალიან მოქმედებს რკინის ოქსიდის რეაქციის უნარი, რაც დამოკიდებულია მინარევების შემცველობასა და ოქსიდის მარცვლების ზედაპირის განვითარებაზე. ამიტომ გამოყენებული რკინის ოქსიდი უნდა შეიცავდეს არა ნაკლებ  $95\%$   $\text{Fe}_2\text{O}_3$ -ს. ახალი რკინის ოქსიდი არააქტიურია და მას სპეციალურად ამუშავებენ: მას მრავალჯერ შეაცხობენ და გამოტუტავენ სოდის მცირე და

თანდათანობით მზარდ ულუფებთან. ამის შედეგად თითქმის ორჯერ და უფრო მეტად იზრდება რკინის ოქსიდის შეხების ზედაპირი მარცვლების ფორმანობის გადიდების ხარჯზე.

რკინის ოქსიდის ჭარბად აღება, უზრუნველყოფს სოლის მაქსიმალურად გამოყენებას. ეს გამართლებულია, რადგან რკინის ოქსიდი არ იკარგება და კვლავ ბრუნდება პროცესში. მოქმედ მასათა კანონის თანახმად კაზმში  $Fe_2O_3$ -ის რაოდენობის გადიდებით იზრდება სოლის კაუსტიფიკაციის, ანუ ნატრიუმის ტუტედ გარდაქმნის ხარისხი. პრაქტიკაში ერთ წონით ნაწილ  $Na_2CO_3$ -ზე იღებენ 2,5-3 ნაწილ  $Fe_2O_3$ -ს. კაზმს აცხობენ  $1100-1200^{\circ}C$ -ზე ჰორიზონტალურ დოლისებრ ღუმელში, რომელიც ბრუნავს 1-2 ბრ/წთ სიჩქარით. ღუმელს აცხელებენ მაზუთით ან აირადი სათბობით.


შენაცხობს გამოტუტავენ ტუტის ხსნარით ყალბძირიანი აპარატების ბატარეაში (დიფუზორებში), რომლებშიც სუსტი ტუტებს ხსნარი მოძრაობს გამოსატუტი მასის მოძრაობის შემხვედრად, რის გამოც ხსნარის კონცენტრაცია თანდათან იზრდება. საბოლოოდ მიღებული ხსნარი შეიცავს 300-400 გ/დმ<sup>3</sup>  $NaOH$ -ს.

ამ სამუშაოს მიზანია პრაქტიკულად გავეცნოთ ლაბორატორიულ პირობებში სოდასთან რკინის ოქსიდის შეცხობისა და შენაცხობიდან ნატრიუმის ჰიდროქსიდის გამოტუტვის პროცესის თანამიმდევრობას, პროცესის რეჟიმსა და კონტროლს, განვსაზღვროთ  $NaOH$ -ის გამოსავალი ტეპურატურის, შეცხობის ხანგრძლივობის, კაზმში  $Na_2CO_3$ -ისა და  $Fe_2O_3$ -ს რაოდენობრივი თანაფარდობისაგან დამოკიდებულებით.

ნახაზზე მოცემულია სოლისა და რკინის ოქსიდის შეცხობის ლაბორატორიული დანადგარის სქემა.

დანადგარი მიღოვანი ელექტროლუმელია (1), რომელშიც ათავსებენ კაზმის წონაკიან რკინის ან ფაიფურის ნავს; კალიუმის ტუტის 40%-იანი ხსნარით შევსებული ორი

კალიაპარატის (3) დანიშნულებაა ფერიტის წარმომნის პროცესში გამოყოფილი ნახშირორჟანგის შთანთქმა. კალიაპარატების წონაში მატების მიხედვით საზღვრავენ გამოყოფილი  $CO_2$ -ის საერთო რაოდენობას. კალიაპარატებს აყენებენ პარალელურად ისე, რომ შესაძლებელი იყოს აირის ნაკადის გადართვა ერთიდან მეორე შთამნთქმელში დროის გარკვეული პერიოდის შემდეგ. ამისათვის იყენებენ სამსვლიან ონკანს (7). როცა აირის ნაკადს მეორე შთამნთქმელში გადართავენ პირველს მოხსნიან და აწონიან. ასე ადგენენ დროის მოცემულ მონაკვეთში გამოყოფილი ნახშირორჟანგის რაოდენობას.



ტემპერატურას ღუმელში ზომავენ თერმოწყვილით (5) და არეგულირებენ თერმორეგულატორით (6). კალიაპარატებს აერთებენ ასპირატორთან (4), რომლითაც ამოწმებენ დანადგარის ჰერმეტულობას და ქმნიან მცირეოდენ ვაკუუმს აირის ნაკადის ღუმელსა და კალიაპარატებში მოძრაობისათვის.

სამუშაოს შემდეგი თანამიმდევრობით ატარებენ. ამზადებენ მოცემული შედგენილობისა და გრანულომეტრიის კაზმს. ამისათვის ანგარიშობენ კაზმის შედგენილობას და ტექნიკურ სასწორზე წონაინ რკინის ოქსიდისა და სოლის განსაზღვრულ რაოდენობებს. მათ წინასწარ აქცემაცებენ და ატარებენ სათანადო ზომის საცერში. იღებენ ფრაქციას მარ-

ცვლების ზომით – 0,05 მმ-დან 1-0,5 მმ-მდე. აწონილ სო-დასა და რკინის ოქსიდის გულმოდგინებ ურევენ ფაიფურის ჯამში ან როლინში.

წინასწარ გამოვარვარებულ ნავს წონიან და ყრიან მასში 1-2 გ კაზში.

ცდას ატარებენ  $800-1050^{\circ}\text{C}$  ტემპერატურულ შუალე-დში. ღუმელს აცხელებენ რომელიმე არჩეულ ტემპერატურა-მდე. ამავე დროს ამოწმებენ მის ჰერმეტულობას ასპირა-ტორის საშუალებით. შემდეგ გახურებულ ღუმელში შეიტანენ წინაკიან ნავს და სწრაფად აერთებენ დია ბოლოს წინასწარ აწონილ კალიაპარატებთან ნახშირორუნგის დასაჭრად. ნატ-რიუმის ფერიტის წარმოქმნის კინეტიკის შესწავლისათვის ყოველ 10 წთ-ში გადართავენ აირის ნაკადს სხვა კალი-აპარატებში, ხოლო გამორთულ აპარატებს წინაიან და წინის ნამატის მიხედვით საზღვრავენ დროის მოცემულ პერიოდში გამოყოფილი და შთანთქმული  $\text{CO}_2$ -ის რაოდენობას.

ცდას ატარებენ პედაგოგის მიერ მიცემული დავალე-ბის მიხედვით, 1-2 სთ-ის განმავლობაში.

ცალკეული კალიაპარატების აწონით მიღებული მონა-ცემების სფუძველზე მსჯელობენ დროის მიხედვით ფერიტის წარმოქმნის რეაქციის მიმდინარეობაზე. ამისათვის ცალკეულ აპარატში შთანთქმული ნახშირორუნგის რაოდენობას შეაფა-რდებენ კაზმის წონაკში თეორიულად არსებულ მის საერთო რაოდენობასთან, მიღებულ სიდიდეს გამოსახავენ პროცენ-ტებში და ადგენენ დროის განსაზღვრულ მონაკვეთში ნახში-რორუნგის გამოსავლის ცხრილს. ამ მონაცემებით აგებენ მრუდს კოორდინატებში:  $\text{CO}_2$ -ის გამოსახალი – დრო, რო-მელიც გამოსახავს პროცესის მიმდინარეობას დროის განსა-ზღვრულ მონაკვეთში.

ცდის დამთავრების შემდეგ, რაც შეიმჩნევა იმით, რომ კალიაპარატები წონაში აღარ იმატებს, ფერიტიან ნავს გამო-იღებენ ღუმლიდან და დგამენ ექსიკატორში. შემდეგ ატარებენ

მეორე ცდას, ცვლიან რა მოცემულობის მიხედვით ტემპერა-ტურას ღუმელში, კაზმის შედგენილობას, ნაწილაკების ზომა-სა და სხვ. საჭიროების შემთხვევაში ატარებენ მესამე და მეოთხე ცდასაც. შედეგებს ყველა შემთხვევაში ამუშავებენ ზემოთ აღწერილი წესით.

ცდების დამთავრების შემდეგ მიღებული ფერიტის ნი-მუშებს ცალ-ცალკე გამოტუტავენ წყლით და საზღვრავენ ნატრიუმის ტუტის გამოსახალს ანუ კაუსტიფიკაციის ხა-რისხს. ამით ამოწმებენ რეაქციის პროდუქტების საერთო გამოსახალს, რომელიც დაადგინეს გამოყოფილი ნახშირ-ორუნგის მიხედვით.

მიღებული შენაცხობის გამოტუტვისათვის ნავის შიგ-თავსი გადააქვთ 200 სმ<sup>3</sup> მოცულობის ჭიქაში. თუ შენაც-ხობი ნავიდან ძნელი ამოსაღებია მას მთლიანად ათავსებენ ჭიქაში; წინასწარ სხვა ჭიქაში აღუღებამდე აცხელებენ 200-250 სმ<sup>3</sup> გამოხდილ წყალს; ნავიან ჭიქაში ასხამენ და-ხლოებით 50 სმ<sup>3</sup> ცხელ წყალს და რამდენიმე წუთის გან-მავლობაში ურევენ მინის წკირით. შემდეგ ჭიქას დგამენ ელექტროლუმელზე და აცხელებენ ხსნარს აღუღებამდე. ფე-რიტს გამოტუტავენ წყლის აღნიშნული რაოდენობით 10 წთ-ის განმავლობაში; შემდეგ ნარევს აყორნებენ დალექვამდე და ხსნარი ფრთხილად გადააქვთ ფილტრზე დეკანტაციით. ამის შემდეგ ჭიქაში ასხამენ ცხელი წყლის ახალ ულუფას და გა-ნაგრძობენ გამოტუტვას, აგრძელებენ რა მასის მორევასა და შეთბობას, როგორც ზემოთ იყო აღწერილი. შენაცხობს ანა-ლოგიურად ამუშავებენ ცხელი წყლით კიდევ ორჯერ, თითო-ეული გამოტუტვის შემდეგ ხსნარი დეკანტაციით გადააქვთ ფილტრზე, შემდეგ კი საზომ კოლბაში.

მიღებულ ფილტრატს აცივებენ, საზომ კოლბას ავ-სებენ ჭდემდე და ატარებენ ხსნარის ანალიზს ნატრიუმის ტუტისა და სოდის შემცველობაზე. ცდის შედეგების მიხედ-ვით ანგარიშობენ კაუსტიფიკაციის ხარისხს და პროდუქ-

ტების გამოსავალს თეორიულად შესაძლებელი მაქსიმალური გამოსავლის მიმართ. ცდისა და ანგარიშის შედეგები შეაქვთ ცხრილში.

სოდისა და ნატრიუმის ტუტის რაოდენობათა განსაზღვრა ხსნარში მათი ერთდროულად არსებობისას დაუუძნებულია ხსნარის სინჯის გატიტვრაზე სხვადასხვა ინდიკატორების გამოყენებით ან ბარიუმის ქლორიდით  $\text{Na}_2\text{CO}_3$ -ის წანასწარ დალექვაზე.

### ორი ინდიკატორით სინჯის გატიტვრის მეთოდი

ეს მეთოდი ემყარება ინდიკატორების – ფენოლფტალურინისა და მეთილნარინჯის – ფერის ცვლილებას pH-ის მნიშვნელობათა სხვადასხვა ინტერვალში.

საანალიზო სინჯის გატიტვრით მეთილნარინჯის თანაობისას განისაზღვრება ხსნარის საერთო ტუტიანობა ( $\text{NaOH} + \text{Na}_2\text{CO}_3$ ), რადგანაც ინდიკატორის ფერის შეცვლა ხდება მუავა არეში, როცა  $\text{pH}$  არის 3-4,5. იგივე ხსნარის ფენოლფტალურინის თანხლებით გატიტვრისას განისაზღვრება ნატრიუმის ტუტე და სოდის რაოდენობის ნახევარი ( $\text{NaOH} + 0,5\text{Na}_2\text{CO}_3$ ), ე. ი. ინდიკატორი ფერს იცვლის სუსტ ტუტე გარემოში –  $\text{pH} = 8-9,5$  ინტერვალში, რომელიც პასუხობს  $\text{Na}_2\text{CO}_3$ -ის  $\text{NaHCO}_3$ -ში გადასვლას.

ანალიზისათვის იღებენ 25 სმ<sup>3</sup> ფილტრატს, ათავსებენ კონუსურ კოლბაში, ტიტრავენ  $\text{HCl}$ -ის 0,1 ნ ხსნარით ფენოლფტალურინის თანაობისას ხსნარის გაუფერულებამდე და იწერენ მარილმუავას დახარჯულ რაოდენობას ( $V_1$ , სმ<sup>3</sup>). ხსნარის იმავე სინჯში ჩაასხამენ მეთილნარინჯის ორ-სამ წვეთს და გატიტრავენ კვლავ  $\text{HCl}$ -ის 0,1 ნ ხსნარით ყვითელი შეფერილობის ვარდისფერში გადასვლამდე.

ფენოლფტალურინისა და მეთილნარინჯის თანაობისას სინჯის გატიტრაზე დახარჯული მუავას საერთო რაოდენობა პასუხობს საერთო ტუტიანობას და შეადგენს  $V_2$  სმ<sup>3</sup>-ს. სინჯში  $\text{NaOH}$ -ის შემცველობის ეკვივალენტური  $\text{HCl}$ -ის რაოდენობა იქნება  $2V_1 - V_2$ , ხოლო  $\text{NaOH}$ -ის რაოდენობა იქნება  $(2V_1 - V_2) \cdot 0,004$  გ. ნახშირმუავა ნატრიუმის გატიტვრაზე დახარჯული  $\text{HCl}$ -ის რაოდენობა იქნება  $2(V_2 - V_1)$ , ხოლო  $\text{Na}_2\text{CO}_3$ -ის რაოდენობა სინჯში  $2(V_2 - V_1) \cdot 0,0053$  გ.


სოდის კაუსტიფიკაციის ხარისხი გამოითვლება ფორმულით:

$$X_1 = \frac{2V_1 - V_2}{V_2} \cdot 100\%.$$

### ბარიუმის ქლორიდით დალექვის მეთოდი

ანალიზის მსვლელობა ასეთია: საერთო ტუტიანობის განსაზღვრავად 25 სმ<sup>3</sup> ფილტრატი გადააქვთ კონუსურ კოლბაში, აზავებენ გამოხდილი წყლით 50 სმ<sup>3</sup>-მდე, უმატებენ 2-3 წვეთ მეთილნარინჯს და ტიტრავენ 0,1 ნ გოგირდმუავით ან მარილმუავით ყვითელი ფერის ვარდისფერში გადასვლამდე. საერთო ტუტიანობის განსაზღვრაზე დახარჯულ მუავას რაოდენობას აღნიშნავენ  $V_1$ -ით, სმ<sup>3</sup>.

ნატრიუმის ტუტის განსაზღვრავად მეორე სინჯი, ასევე 25 სმ<sup>3</sup>, გადააქვთ კონუსურ კოლბაში, აზავებენ წყლით 50 სმ<sup>3</sup>-მდე და ჰარბად უმატებენ ბარიუმის ქლორიდს ( $\text{BaCl}_2$ -ს 10%-იანი ხსნარის დაახლოებით 30 სმ<sup>3</sup>-ს). ამ დროს წარმოიქმნება უხსნარი ბარიუმის კარბონატი და ჰიდროქსიდი. მიმდინარე რეაქციები შეიძლება ასე გამოვსახოთ:



სინჯის მარილმჟავით შემდგომი გატიტვრისას განისაზღვრება  $\text{OH}^-$ -იონების რაოდენობა, რაც სინჯში  $\text{NaOH}$ -ის საწყისი რაოდენობის შემცველობის ეკვივალენტურია. ნატრიუმის კარბონატის დალექვის შემდეგ სინჯს უმატებენ ფენოლფტალეინის რამდენიმე წვეთს და მაშინვე ნელ-ნელა ტიტრავენ მარილმჟავის 0,1 ნ ხსნარით, თან ფრთხილად ურევენ, რადგანაც სინჯის დიდხანს დაყოვნება პაერზე და ინტენსიური მორევა იწვევს პაერიდან  $\text{CO}_2$ -ის მნიშვნელოვან შთანთქმას. მჟავას დახარჯულ რაოდენობას აღნიშნავენ  $V_2$ -ით, სმ<sup>3</sup>; იგი შეესაბამება ხსნარში  $\text{NaOH}$ -ის შემცველობას.

სხვაობა  $V_1 - V_2$  შეესაბამება სოდის შემცველობას ხსნარში. შეებამისად,  $\text{NaOH}$ -ის რაოდენობა ხსნარის სინჯში შეადგენს  $V_2 \cdot 0,004$  გ, ხოლო  $\text{Na}_2\text{CO}_3$ -ისა –  $(V_1 - V_2) \cdot 0,0053$  გ-ს.

კაუსტიფიკაციის ხარისხი გამოითვლება ფორმულით:

$$X_1 = \frac{V_2}{V_1} \cdot 100\%.$$

ნატრიუმის ტუტის საერთო გამოსავალი:

$$X_2 = \frac{G_{\text{ფაქ}}}{G_{\text{მაქ}}} \cdot 100\%,$$

სადაც  $G_{\text{ფაქ}}$ . არის შენაცხობის გამოტუტვისას პრაქტიკულად მიღებული  $\text{NaOH}$ -ის რაოდენობა, გ;  
 $G_{\text{მაქ}}$ . –  $\text{NaOH}$ -ის რაოდენობა, რომელიც შეესაბამება კაზმის წონაკში არსებული სოდის სრულ კაუსტიფიკაციას, გ.

## ც ხ რ ი ლ ი

კაზმის წონა, გ	ტემპერატურა, 0 <sub>C</sub>	Na+2CO <sub>3</sub> :Fe <sub>2</sub> O <sub>3</sub> , მოლარული შეცხობას ხანგრძლივობა, წთ ალიასარატის მატება წონაში, გ	წონაკიდან გამოყოფილი ნახშირორჟანგის რაოდენობა . . . . წთ-ის შემდეგ	10	20	30	40	50	60

## ლიტერატურა

А. Я. Авербух и др. Практикум по общей химической технологии. Москва. Высшая школа. 1979.

### III სამუშაო

#### ნავთობპროდუქტების სიბლანტის განსაზღვრა

სიბლანტე ნავთობპროდუქტების მეტად მნიშვნელოვანი თვისებაა. მას განსკუთრებული მნიშვნელობა აქვს საცხი ზე-თებისათვის, რომელთა საექსპლოატაციო თვისებები, ძირითად დამოკიდებული და მისი სიდიდით განისაზღვრება. ამა თუ იმ ზეთის სიბლანტეზე დამოკიდებულია მისი უნარი შეცვალოს მშრალი ხახუნი სითხოვანით იმ ტემპერატურაზე, რომელზედაც უხდება მუშაობა მოცემულ მექანიკურ კვანძს.

სიბლანტეს, ანუ შინაგან ხახუნს, უწოდებენ სითხის თვისებას წინააღმდეგობა გაუწიოს მისი ნაწილების გადადგილებას (სრიალს ან ძვრადობას), რასაც შეიძლება იწევდეს გარეშე ძალების ზემოქმედება. განასხვავებენ დინამიკურ, კინემატიკურ და ფარდობით (პირობით) სიბლანტეს. დინამიკური სიბლანტე ეწოდება სითხებისა და გაზების თვისებას, რომელიც ახასიათებს მათ წინააღმდეგობას სრიალის ან ძვრადობის მიმართ. მის ერთეულად მიღებულია წინააღმდეგობა, რომელიც აღიძვრება სითხეში მისი ორი ისეთი ფენის ურთიერთგადადგილების შედეგად, რომელთა ფართობია  $1 \text{ სმ}^2$ , მათ შორის მანძილი –  $1 \text{ სმ}$ , მათზე მოქმედი გარეშე ძალა –  $1 \text{ დინ}$ , გადაადგილების სიჩქარე –  $1 \text{ სმ}/\sqrt{\text{მ}}$ ; დინამიკური სიბლანტის კოეფიციენტი აღინიშნება  $\pi$  ასოთი. მისი განზომილება ერთეულთა საერთაშორისო სისტემაში არის  $\frac{\delta}{\text{მ}^2}$ , რომელსაც პუაზიელი ეწოდება. დინამიკურ სიბლანტეს პრაქტიკულად გამოხატავენ  $\frac{\text{დინ}}{\text{მ}^2} \cdot \frac{\sqrt{\text{მ}}}{\text{მ}} - \text{გში}$ , რაც უდრის

$$\frac{\delta}{\text{მ} \cdot \sqrt{\text{მ}}} - \text{ს და რომელსაც პუაზი (პზ) ეწოდება. იყენებენ, აგ-}$$

რეთვე, უფრო მცირე ერთეულებს, როგორიცაა სანტიპუაზი (სპზ), მიღიპუაზი (მპზ) და მიკროპუაზი (მპპზ). წყლის დინამიკური სიბლანტე მიღებულია

$$1,005 \cdot 10^{-3} \frac{\text{ნ} \cdot \sqrt{\text{მ}}}{\text{მ}^2} \square 1,005 \frac{\text{მნ} \cdot \sqrt{\text{მ}}}{\text{მ}^2} \square 1 \text{ საზ-ის ტოლად.}$$

კინემატიკური სიბლანტე  $\pi$  არის მოცემულ ტემპერატურაზე სითხის ან აირის დინამიკური სიბლანტისა და სიმკვრივის ფარდობა  $\nu = \frac{\mu}{\rho}$ . ერთეულთა საერთაშორისო სისტემაში კინემატიკური სიბლანტის განზომილებაა  $\frac{\delta}{\text{მ}^2}$ , ე. ი. ისეთი ნაკადის სიბლანტე, რომლის დინამიკური სიბლანტეა  $1 \frac{\text{ნ} \cdot \sqrt{\text{მ}}}{\text{მ}^2}$  და სიმკვრივე –  $1 \frac{\text{მ}}{\text{მ}^3}$ .

CGS სისტემაში კინემატიკური სიბლანტის ერთეულად მიღებულია სტოქსი (სტ). სტოქსი ისეთი სითხის სიბლანტეა, რომლის სიმკვრივე არის  $1 \frac{\text{მ}}{\text{სმ}^3}$  და  $1 \text{ სმ-ით დაშორებული } 1 \frac{\text{მ}}{\text{სმ}^2}$  სიჩქარით მოძრავი მისი  $1 \text{ სმ}^2$  ფართობის მქონე ფენების ურთიერთგადადგილებას წინააღმდეგობას უწევს  $1 \text{ დინ}$  ძალა.  $1 \text{ სტოქსი (სტ)} = 100 \text{ სანტოსტოქსი (სსტ)} = 100 \text{ მილისტოქსი (მსტ)}$ .

დინამიკური და კინემატიკური სიბლანტეები, რომლებიც სავსებით განსაზღვრული, კონკრეტულ ერთეულებში გამოსახული ფიზიკური მახასიათებლებია, გამოიყენება როგორც საანგარიშო სიდიდეები. ფარდობითი (პირობითი) სიბლანტე –  $\frac{\delta}{\text{მ}} - \text{კი გამოიყენება ნავთობპროდუქტების პრაქტიკული და-}$

ხასიათებისათვის და როგორც საანგარიშო პარამეტრი არ იხ-  
მარება. ის გამოხატავს  $t$  ტემპერატურაზე მოცემული პროდუ-  
ქტის დინამიკური სიბლანტის ფარდობას  $t_1$  ტემპერატურაზე  
წყლის დინამიკურ სიბლანტესთან ( $\mu_{\text{წყ},t_1}$ ):

$$\frac{\rho_s}{\mu_{\text{წყ},t_1}} = \frac{\mu_t}{\mu_{\text{წყ},t_1}}.$$

სიბლანტეს ხშირად გამოხატავენ პირობით ერთეუ-  
ლებში – გრადუსებში ან წამებში. ეს არის 200 სმ<sup>3</sup> საკელე-  
ვი პროდუქტის განსაზღვრულ ტემპერატურაზე გამოდინების  
დროის ფარდობა იმავე რაოდენობის დისტილირებული  
წყლის 20°C-ზე გამოდინების დროსთან და აღინიშნება ფხ-  
თი. ზოგჯერ პირობით სიბლანტეს საზღვრავენ როგორც სი-  
თხის გარკვეული რაოდენობის გამოდინების დროს სტან-  
დარტულ პირობებში.

პირობითი სიბლანტის განსაზღვრა რეკომენდებულია  
ისეთი ნავთობპროდუქტების დასახასიათებლად, რომლებიც  
გამოცდის პროცესში უწყვეტი ჭავლის სახით გამოდინდება.  
ჩვეულებრივ ტემპერატურის გადიდებით სიბლანტე იზრდება,  
ხოლო შემცირებით – მცირდება.


განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მონაცემები, როლე-  
ბიც ახასიათებს ტემპერატურის მიხედვით საცხი ზეთების  
სიბლანტის ცვლილებას. პრაქტიკაში მათ სიბლანტის ინდექ-  
სით გამოხატავენ. რაც ნაკლებია ზეთის სიბლანტის ტემპე-  
რატურული ცვლილებები. მით მაღალია მისი საექსპლუა-  
ტაციო თვისებები და, შესაბამისად, ხარისხი. ამრიგად, ზე-  
თების დასახასიათებლად საჭიროა არა მარტო სიბლანტის,  
არამედ სიბლანტის ინდექსის, ე. ი. მისი ტემპერატურული  
ცვლილების ცოდნაც.

## სიბლანტის განსაზღვრის მეთოდები

სიბლანტის განსაზღვრა, როგორც აღვნიშნეთ, შეიძლება  
იყოს აბსოლუტური ან ფარდობითი. კლასიკური აბსოლუტუ-  
რი მეთოდებია: 1) კაპილარების, 2) მბრუნავი ცილინდრებისა  
და 3) ვარდნილი ბურთულის მეთოდები. გაზომვის პირველი  
ჯგუფის მეთოდებში იყენებენ სხვადასხვა ხელსაწყოებს, რომ-  
ელოთაგან ყველაზე მარტივი და გავრცელებულია ვისკოზიმე-  
ტრები. კაპილარული ვისკოზიმეტრი **U**-სებრი მიღია, რომ-  
ლის ერთ მუხლში ჩადგმულია სიფართოვეში გარდამავალი  
კაპილარი. კაპილარული ვისკოზიმეტრებით სიბლანტის გან-  
საზღვრა გულისხმობს მუშა მოცულობიდან (მონიშნულია  
წრიული ხახებით) კაპილარში სითხის გადინების დროის  
განსაზღვრას. არსებობს ვისკოზიმეტრების რამდენიმე ათეული  
მოდიფიკაცია, რომლებითაც საზღვრავენ აბსოლუტურ ან  
ფარდობით სიბლანტეს (0,001-დან 100 პუაზამდე) ფართო  
ტემპერატურულ ინტერვალში. ამ ხელსაწყოებიდან ყველაზე  
უფრო გავრცელებულია ოსტვალდის, ოსტვალდ-პინკევიჩის,  
უბელოდეს, პინკევიჩ-მიტროფანოვასა და სხვა ვისკოზიმე-  
ტრები. ნახ.1-ზე მოცემულია პინკევიჩ-მიტროფანოვას ვისკო-  
ზიმეტრი.

ვისკოზიმეტრს ათავსებენ წყლიან მინის ჭურჭელში  
ისე, რომ მისი გაფართოებული ნაწილი (5) ჩაყურსული  
იყოს წყალში და აცხელებენ განსაზღვრულ ტემპერატუ-  
რამდე, როცა წყალი მიიღებს საჭირო ტემპერატურას აყოვ-  
ნებენ 5-10 წუთი და იწყებენ ცდას. ვისკოზიმეტრში ასხამენ  
საკვლებ სითხეს ისეთი რაოდენობთ, რომ გაფართოებული ნა-  
წილი შეივსოს ნახევრამდე. წნევის საშუალებით, რომელსაც  
ქმნიან რეზინის ბუშტით (4), ნავთობპროდუქტი გადაჰყავთ  
პირველი ბირთვიდან მეორეში. გამოდინების დროს აითვლიან  
სითხის **m**-დან **n** მენისკამდე მოძრაობისას. ბირთვი (5) დაბა-

ლი და განიერია სითხის მოძრაობისას ჰიდრაგლიკური ცდო-  
მილებების თავიდან ასაცილებლად.



ნახ. 1. პინკევიჩ-მიტროფანოვას ვისკოზიმეტრი

პროდუქტის გამოდინების მიღებული დრო ( $t$ ), გამრავ-  
ლებული პროდუქტის კუთრი ( $d$ ) წონასა და ხელსაწყოს (k)  
მუდმივაზე, არის პროდუქტის აბსოლუტური სიბლანტე პუა-  
ზებში:

$$h = k \cdot t \cdot d.$$

ხელსაწყოს (k) მუდმივას ანგარიშობენ ფორმულით:

$$k = \frac{\eta_0}{d_0 \cdot t_0} ,$$

სადაც  $\eta_0$  არის იმ სითხის აბსოლუტური სიბლანტე,  
რომლითაც ადგენენ ხელსაწყოს მუდმივას;  
 $d_0$  – ამავე სითხის კუთრი წონა,  $\text{გ}/\text{სმ}^3$ ;

$t_0$  – ამ სითხის ვისკოზიმეტრში გამოდინების  
დრო, წმ.

ხელსაწყოს მუდმივას განსაზღვრისათვის საჭიროა  
მხოლოდ  $t_0$ -ის დადგენა, დანარჩენ ორ სიდიდეს ცხრილებში  
ნახულობენ.

ქვემოთ მოყვანილია ცხრილი დისტილირებული წყლი-  
სათვის.

ტემპერატურა, $^{\circ}\text{C}$	აბსოლუტური სიბლანტე, პუაზი	კუთრი წონა, $\text{გ}/\text{სმ}^3$
0	0,01797	0,99838
10	0,01309	0,99978
20	0,01008	0,99825
30	0,00800	0,99567
40	0,00653	0,99224
50	0,00549	0,98807
60	0,00316	0,98534

ხელსაწყოს მუდმივას გამოთვლა მოსახერხებელია, აგ-  
როთვე, ბენზოლის საშუალებითაც, რომლისთვისაც  $200^{\circ}\text{C}$ -ზე  
 $\eta_0 = 0,0547$  პ-ს, ხოლო  $d_0 = 0,879 \text{ г}/\text{სმ}^3$ ;  $50^{\circ}\text{C}$ -ზე  
 $\eta_0 = 0,00436$ ,  $d_0 = 0,847 \text{ г}/\text{სმ}^3$ -ს.

აბსოლუტური სიბლანტის გაყოფით კუთრი წონაზე  
მივიღებთ კინემატიკურ სიბლანტეს სტრესებში.


რადგანაც ნავთობპროდუქტების ასორტიმენტი მეტად  
დიდია და მათი სიბლანტეებიც ძლიერ განსხვავებული, მათი  
შესწავლისათვის იყენებენ სხვადასხვა ვისკოზიმეტრებს, რომ-  
ლებიც ერთმანეთისაგან, ძირითადად, კაპილარების დიამეტ-  
რით განსხვავდება. რაც უფრო ძლიერია შესასწავლი ნივთი-  
ერება, მით უფრო დიდი დიამეტრის კაპილარის ვისკოზი-  
მეტრის გამოყენებაა ხელსაყრელი. თუ ძლიერ ძლანტი სით-

ხეების შესასწავლად წვრილკაპილარიანი ვისკოზიმეტრი გამოვიყენეთ გამოდინებას დიდი დრო დაჭირდება, რაც უარყოფითად იმოქმედებს გაზომვის სიზუსტეზე.

ფარდობითი სიბლანტის განსაზღვრისათვის ხშირად იყენებენ ენგლერის, ბარბიეს, რედვურდის, სეიბოლტისა და სხვა ვისკოზიმეტრებს. პრაქტიკაში საკმაოდ გავრცელებულია ეწ. BY-ს ტიპის (ВИСКОЗИМЕТР УСЛОВНЫЙ) ვისკოზიმეტრები (ნახ. 2). მიღებულია ფარდობითი სიბლანტის გამოსახვა BY-ს

ერთეულებში რომელებიც რიცხობრივად ემთხვევა ენგლერის გრადუსებს (<sup>0</sup>E). ასეთი ერთეული გამოხატავს 200 სმ<sup>3</sup> საკვლევი სითხის გამოდინების დროის ფარდობას 20<sup>0</sup>-ზე 200 სმ<sup>3</sup> წყლის გამოდინების დროსთან. ვისკოზიმეტრი BY ორი თითბრის ცილინდრისაგან შედგება. შიგა ცილინდრი 1 ივება საკვლევი სითხით, ხოლო გარე 2 – ასრულებს წყლის ან ზეთის აბაზანის როლს. ცილინდრებს აქვთ საერთო ხვრელი 3, რომელიც იხურება ხის ღეროთი 4.

ხვრელში ჩადგმულია თითბრის მილი 5, რომელშიც ჩაწერილია გაშლიიფულზედაპირიანი პლატინის კაპილარი (ე. წ. ვისკოზიმეტრის კაპილარი). შიგა ცილინდრის კეელზე ფსკერიდან თანაბარ მანძილზე მიმაგრებულია სამი მოხრილი ღერო 6, საკვლევი სითხის დონის საჩვენებლად და ხელსა-



ნახ.2. ვისკოზიმეტრი ფარდობითი სიბლანტის განსაზღვრისათვის

წყოს ზუსტად ჰორიზონტალურ მდგომარეობაში დასაყენებლად. ამ ცილინდრის მოცულობა ფსკერიდან ნიშნულებამდე 240 სმ<sup>3</sup>-ია. შიგა ცილინდრს აქვს თითბრის სახურავი, რომელშიც დატანებულია ორი ხვრელი: ერთში ჩადგმულია ხის ღერო, ხოლო მეორეში - თერმომეტრი 7. გარე ცილინდრის შიდა კედელზე მიმაგრებულია სარევი 8 და თერმომეტრი 9. გამოსასვლელი მილიდან 5 გამოდინებული სითხის რაოდენობა ფიქსირდება საზომი კოლბით 13, რომლის მოცულობა ყოლზე გაკეთებულ ჭდემდე არის 200 სმ<sup>3</sup>.

ექსპერიმენტის დაწყებამდე საჭიროა ხელსაწყოს წყლის რიცხვის დადგენა. ვისკოზიმეტრის წყლის რიცხვი (მუდმივა) არის 20<sup>0</sup>C-ზე 200სმ<sup>3</sup> დისტილირებული წყლის გამოდინების დრო (წმ). წყლის რიცხვის განსაზღვრისათვის შიგა ცილინდრს გულმოდგინედ რეცხავენ თანამიმდევრულად ბენზინით, სპირტით და დისტილირებული წყლით. შემდეგ მასში ასხამენ დისტილირებულ წყალს ნიშნულების დაფარვამდე; აყენებენ ხელსაწყოს ჰორიზონტალურ მდგომარეობაში და ჩამოცლიან ზედმეტ წყალს. ხელსაწყოს ახურავენ სახურავს და აცხელებენ საჭირო ტემპერატურამდე, ურვენ რა სარევით აბაზანში, ხოლო შიგა ცილინდრში – სახურავში ჩადგმული თერმომეტრით. როდესაც ტემპერატურა მიაღწიეს 20<sup>0</sup>C-ს აყოვნებენ რამდენიმე წუთს, შედგამენ საზომ კოლბას გამოსასვლელი ხვრელის ქვეშ და ფრთხილად ამოიღებენ ხის ღეროს 4, ჩართავენ რა მაშინვე წამსაზომს; საზღვრავენ 200 სმ<sup>3</sup> წყლის გამოდინების დროს (ანათვალი აიღება მირა მენისკის მიხედვით). სამი განსაზღვრიდან იანგარიშება საშუალო არითმეტიკული, ამასთან სხვაობა ცალკეულ გაზომვებს შორის 0,5 წმ-ს არ უნდა აღემატებოდეს. სტანდარტული ვისკოზიმეტრების წყლის რიცხვი უნდა იყოს 50-52 წმ. თუ მუდმივას მიღებული მნიშვნელობა მეტია 52-ზე ან ნაკლებია 50-ზე, ვისკოზიმეტრი სამუშაოდ არ გამოდგება.

სუფთა ნავთობპროდუქტებს, რომელიც არ შეიცავს წყალსა და მექანიკურ მინარევებს, აცხელებენ იმ ტემპერატურაზე 1-3<sup>0</sup>-ით ნაკლებად, რომელზედაც უნდა განისაზღვროს სიბლანტე და ასხამენ ბენზინით გარეცხილ და ჰაერით გამშრალ ცილინდრში. აბაზნაში ტემპერატურას აღიდებენ 1,5-2<sup>0</sup>-ით, მოცემულთან შედარებით. როცა საკვლევი სითხის ტემპერატურა მიაღწევს განსაზღვის დონეს დააყოვნებენ ამ ტემპერატურაზე 5 წთ და იწყებენ ექსპრიმენტს.

პირობით სიბლანტეს უპირატესად საზღვრავენ 20, 50 და 100<sup>0</sup>-ზე. დააყენებენ რა სითხის დონეს ცილინდრში, აბაზნაში ამცირებენ ტემპერატურას იმდენად, რომ იგი 0,2<sup>0</sup>-ით მეტი იყოს განსაზღვრისაზე და ინარჩუნებენ მას ცდის ბოლომდე. შემდეგ ისევე იქცევაან, როგორც წყლის რიცხვის განსაზღვრისას. როცა საზომ კოლბაში საკვლევი ნავთობპროდუქტის დონე მიაღწევს ნიშნულს, წამსაზომს გამორთავენ (ქაფი მხედველობაში არ მიიღება). გამოდინების დროს საზღვრავენ 0,2 წმ-ის სიზუსტით. პირობით სიბლანტეს ანგარიშობენ ფორმულით:

$$\text{ს} = \frac{\tau_t}{\tau_{\text{წ},20}},$$

სადაც **ს** არის პროდუქტის პირობითი სიბლანტე ცდის ტემპერატურაზე;


**t<sub>t</sub>** – 200სმ<sup>3</sup> ნავთობპროდუქტის ვისკოზიმეტრიდან გამოდინების დრო  $t$  ტემპერატურაზე, (წმ);

**τ<sub>წ, 20</sub>** – 200 სმ<sup>3</sup> წყლის გამოდინების დრო 20<sup>0</sup>C-ზე (წყლის რიცხვი), წმ.

მონაცემები, რომლებიც ახასიათებს პირობით სიბლანტეს, შეიძლება გამოვიყენოთ აბსოლუტური სიბლანტის მი-

ახლოებითი შეფასებისათვის შემდეგი ფორმულების  
საშუალებით:

$$\mu_t = \left( 0,007313b_t - \frac{0,0631}{b_t} \right) \rho; \quad \nu_t = 0,007313b_t - \frac{0,0631}{b_t}.$$




ნახ.3 გურვიჩის ვისკოზიმეტრი

მაღალმოლეკულური ბლანტი ნავთობპროდუქტები კაპილარში ძნელად მოძრაობს; მათ გამოდინებას დიდი დრო ჭირდება, რაც დიდ ცდომილებას იწვევს, ამიტომ ასეთი ნივთიერებების სიბლანტეს საზღვრავენ ე.წ. გურვიჩის ვისკოზიმეტრული მილით, რომლის მუშაობის პრინციპი ემყარება მყარი სხეულების სითხეში ვარდნას. გურვიჩის მილოვანი ვისკოზიმეტრი (ნახ.3) უბრალო მილია 1, რომლის შიგა დიამეტრი 4-6 მმ-ია, ხოლო სიგრძე 250-300 მმ. მილის ერთი ბოლო დახურულია. ლია ბოლოდან 100 მმ-ის დაშორებით გაკეთებული აქვს ერთი ჭდე – *a*, დახურული ბოლოდან 50 მმ-ის დაშორებით მეორე ჭდე – *b*. *ab* მანძილი შეიძლება იყოს 15-20 სმ. მილში ასხამენ საკვლევ პროდუქტს ა ჭდეზე ზევით და ათავსებენ ლითონის ან მინის აბაზნაში.

აბაზანაში ასხამენ სითხეს, რომელიც  $10^0$ -ით უფრო ცხელია განსაზღვრის ტემპერატურაზე. საჭირო ტემპერატურის დამყარების შენდეგ მიღწი ჩაუშვებენ 4-6 მმ დიამეტრის ფოლადის ბურთულას და ინიშნავენ დროს, რომელსაც ბურთულა ანდომებს *ab* მანძილის გავლას. იმისათვის, რომ ვისკოზიმეტრულ მიღლს ყოველთვის ერთი და იგივე მდგომარეობა ჰქონდეს, იგი ძვეს აბაზანის ამოჭრილ ბუდეში (4). ცდის გასამჟორებლად მიღწი უშვებენ ისეთივე მეორე ბურთულას იმავე ტემპერატურაზე. საკვლევი პროდუქტის სიბლანტის დასადგენად საჭიროა გამოყენებული მიღლის დაკალიბრება. ამისათვის მოცემული ვისკოზიმეტრული მიღლით წინასწარ უნდა გაიზომოს ცნობილი სიბლანტის პროდუქტებში განსაზღვრული წონის ბურთულის მოძრაობის დრო და აიგოს დამოკიდებულების გრაფიკი ამ მიღლისათვის.

მე4 ნახაზზე მოცემულია მრუდი, სადაც ორდინატზე გადაზომილია ნავთობპროდუქტის პირობითი სიბლანტე, ხოლო ასცისთა ღერძზე – მიღწი ბურთულის მოძრაობის დრო.



ნახ. 4

#### IV სამუშაო

##### ნავთობპროდუქტების კატალიზური კრეპინგი

ნავთობსა და მისი გადამუშავების პროდუქტებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს კაცობრიობისათვის. გარდა ძრავებისათვის აუცილებელი სხვადასხვა სახის საწვავისა, ნავთობისაგან ღებულობენ ამოსავალ ნედლეულს პლასტიკური მასების, ქიმიური ბოჭკოების, სინთეზური კაუზუების, გამრეცხი საშუალებების, სპირტებისა და სხვა მრავალფეროვანი ორგანული ნაერთების წარმოებისათვის.

უშუალოდ ნავთობის გადამუშავებით მიღლება თხევადი და აირადი საწვავი, ნავთი, გამხსნელები, საცხი ზეთები, კონსისტენციური საცხები, პარაფინი, ვაზელინი, ბიტუმი, სქელფისა, ინდივიდუალური ნახშირწყალბადები – ეთილენი, პროპილენი, ბენზოლი, ტოლუოლი, ქსილოლები და სხვ., რომლებიც მნიშვნელოვანი ნედლეულია ქიმიური მრეწველობისათვის.

ნავთობი პარაფინული, ნაფტენური და არომატული ნახშირწყალბადების რთული ნარევია; მცირე რაოდენობით შეიცავს არანახშირწყალბადოვან ნაწილს, მაგალითად, გოგირდს, ნაფტენურ მჟავებს, მინერალურ ნივთიერებებსა და სხვ.

ნავთობსა და ნავთობპროდუქტებს ამუშავებენ ფიზიკური და ქიმიური მეთოდებით. ფიზიკური მეთოდები ემყარება განსხვავებას ნახშირწყალბადების ფიზიკურ თვისებში, როგორიცაა დუღილის ტემპერატურა, კრისტალიზაცია, ხსნადობა და სხვ. ფიზიკური მეთოდებიდან ყველაზე მეტად გავრცელებულია გამოხდა.

ნავთობის გადამუშავების ქიმიური მეთოდები გულისხმობს მის როტულ, ქიმიურ, დესტრუქციულ გარდაქმნებს, რომლებიც შეიძლება განიცადონ ნახშირწყალბადებმა ტემპერატურის, წნევის, კატალიზატორის გავლენით. ქიმიური მეთოდებიდან ყველაზე მეტად გავრცელებულია სხვადასხვა სახის კრეკინგები. კრეკინგის დროს ნახშირწყალბადების მოლეკულები იხლიჩება უფრო პატარა მოლეკულებად. იმავდოულად მიმდინარეობს უფრო სხვილი მოლეკულების სინთეზის მეორეული პროცესები: იზომერიზაცია, პოლიმერიზაცია, ციკლიზაცია, კონდენსაცია და სხვ. კრეკინგს, ძირითადად, ნავთობიდან ბენზინის გამოსავლის გასაღიძებლად იყენებენ. პრაქტიკაში დამუშავებულია თერმული და კატალიზური კრეკინგი. თერმულ კრეკინგს ატარებენ შერეულ (თხევად და ორთქლის) ფაზაში  $350\text{-}500^{\circ}\text{C}$ -ზე, 70 ატ წნევაზე, ან ორთქლის ფაზაში უფრო მაღალ ტემპერატურასა და ატმოსფერულ წნევაზე. თუ კრეკინგს  $670\text{-}720^{\circ}\text{C}$  ტემპერატურასა და ატმოსფერულ წნევაზე ატარებენ, მას პიროლიზე უწოდებენ. ამ დროს ნავთობის ნახშირწყალბადები უფრო ღრმა ქიმიურ გარდაქმნებს განიცდის.

ნავთობის თერმული კრეკინგის პროდუქტებია კრეკინგ-ბენზინი, კრეკინგ-აირი და კრეკინგ-ნარჩენი. ატარებენ სხვა ნავთობპროდუქტების კრეკინგსაც. მაგალითად, მაზუთის თერმული კრეკინგის დროს მიიღება: ბენზინი – 30-35%, აირები – 10-15% და ნარჩენი – 50-55%. ამ დროს მიღებული ბენზინის ოქტანური რიცხვი 70-მდეა.

ნავთობის გადამუშავების ტექნოლოგიაში უმნიშვნელოვანესი მიღწევაა კრეკინგ-პროცესები კატალიზატორების გამოყენება. ნავთობპროდუქტების კატალიზური გარდაქმნა საშუალებას გვაძლევს დიდი გამოსავლით მივიღოთ უფრო მაღალხარისხოვანი ბენზინი (77-82 ოქტანური რიცხვით), მსუბუქი, C<sub>3</sub>-C<sub>4</sub> შედგენილობის ნაჯერი და უჯერი ნახშირწყალბადების ნარევი ორგანული სინთეზისათვის, ნავთ-გაზოი-

ლის ფრაქციები. თერმულისაგან განსხვავებით, კატალიზური კრეკინგის ბენზინი უფრო სტაბილურია (რადგან არ შეიცავს დიენურ ნაერთებსა და გოგირდს) და შედარებით მაღალი ანტიდეტონაციური თვისებები აქვს, რაც იზოალკანებისა და არომატული ნახშირწყალბადების დიდი რაოდენობით შემცველობით აიხსნება.

კატალიზური კრკინგი, ჩვეულებრივ, ტარდება ორთქლის ფაზაში  $450\text{-}520^{\circ}\text{C}$ -ზე 1-2 ატ წნევაზე. ამ პირობებში პროცესი სულ რამდენიმე წამი გრძელდება, რადგან კატალიზური პროცესები განუზომლად სწრაფია, ვიდრე თერმული, მაგრამ უფრო რთულიც. ამ დროს მიმდინარე პროცესებში, დაშლის რეაქციების გარდა, ყველაზე მნიშვნელოვანია იზომერიზაციისა და წყალბადის გადანაწილების რეაქციები, რომლებიც განაპირობებს კრეკინგ-პროდუქტების მაღალ ხარისხს, და და გამკვრივების პროცესი, რის შედეგადაც კოქსი წარმოიქმნება.

კრკინგის პროდუქტების გამოსავალსა და ხარისხზე მოქმედებს შემდეგი ფაქტორები: ნედლეულის სახე, კატალიზატორის შედგენილობა და აქტივობა, პროცესის წნევა და ტემპერატურა, რეაქტორში ნედლეულის მიწოდების მოცულობითი სიჩქარე და კატალიზატორის რეგენერაციის გარეშე კრეკინგის პროცესის განუწყვეტლად მიმდინარეობის ხანგრძლივობა.

კატალიზური კრეკინგის ჩასატარებლად იყენებენ სხვადასხვა შედგენილობისა და სხვადასხვა ხერხით დამზადებულ კატალიზატორებს. გამოყენებული კატალიზატორის ხარისხზე, ისევე როგორც კრეკინგ-პროცესის ტექნოლოგიურ რეჟიმზე, დამოკიდებულია ნედლეულის ქიმიური გარდაქმნის მიმართულება. მაგალითად, ძირითადად ალუმინისა და სილიციუმის ოქსიდების შემცველი კატალიზატორის გამოყენების დროს ნაფტენური ნახშირწყალბადები იხლიჩება და ხდება მათი პოლიმერიზაცია, ხოლო ქრომის ოქსიდის შემცველი კა-

ტალიზატორის გამოყენებისას მიმდინარეობს გადასამუშავებელი მასალის არომატიზაციის პროცესები და ა. შ. წვრილ-ფორმულის კატალიზატორი აირის დიდ გამოსავალს იძლევა, ამიტომ უფრო ხელსაყრელია მსხვილფორმოვანის გამოყენება.

ბუნებრივ ალუმინისილაკატურ კატალიზატორებს ამზადებენ ალუმინისილიკატ მონტმორილლონიტისაგან (ან სხვა ბუნებრივი ცეოლითებისაგან) მისი მჟავით დამუშავებით და ზოგჯერ ნიკელის, სპილენის, მანგანუმისა და სხვა ლითონების დამატებით. ალუმინისილიკატურ კატალიზატორებს ხშირად სინთეზური გზით ღებულებენ ალუმინისა და სილიციუმის ჰიდროქსიდების ერთდროულად დალექვით შესაბამისი მარილ-ხსნარებიდან და შემდგომი დეპიდრატაციით. სინთეზური კატალიზატორები უფრო აქტიურია და მდგრადია მექანიკურად და თერმულად.

ნახშირწყალბადები ადსორბირდება კატალიზატორის ზედაპირზე და გარდაიქმნება. ამ პროცესების თანამიმდევრობა დაახლოებით ასეთია: ადსორბირების ყველაზე დიდი უნარი აქვთ არომატულ ნახშირწყალბადებს, შემდეგ უჯერ, ნაფტენურ და ბოლოს პარაფინულებს. როული არომატული ნახშირწყალბადები იხლიჩება და წარმოქმნის შედარებით მარტივ არომატულ და უჯერ ნაერთებს. უჯერ ნახშირწყალბადებში, ძირითადად, მიმდინარეობს წყალბადის გადანაწილების რეაქციები, რომელთა შედეგადაც წარმოქმნება ნაჯერი და უფრო უჯერები. ამას მოყვება ხოლმე კოქსის წარმოქმნა კატალიზატორის ზედაპირზე.

ნაფტენური ნახშირწყალბადების გარდაქმნა უპირატესად ციკლების გახსნით გამოიხატება. ამას შეიძლება თან ახლდეს არომატიზაციისა და იზომერიზაციის რეაქციებიც. პარაფინული ნახშირწყალბადები ყველაზე ბოლოს იხლიჩება და წარმოქმნის ნაჯერ და უჯერ ნაერთებს.

კრეკინგ-პროცესში ყვალაზე დიდი მნიშვნელობა აქვს ტემპერატურას. იგი განსაზღვრავს ნახშირწყალბადების კატა-

ლიზური დაშლის ხარისხსა და სიჩქარეს. მით უმეტეს, რომ კატალიზატორების დამშლელი მოქმედება ვლინდება ტემპერატურათა შედარებით ვიწრო ინტრვალში. ჩვეულებრივ, კრეკინგ-პროცესის საშუალო ტემპერატურა არის  $450-475^{\circ}\text{C}$ . მისი გადიდება აღრმავებს ნახშირწყალბადების დაშლის პროცესს. წნევის გავლენა უმნიშვნელოა, რადგან კრეკინგ-პროცესი ადსორბციულ ფენაში მიმდინარეობს კატალიზატორის ზედაპირზე და არა მოცულობაში.

ნედლეულის მიწოდების მოცულობითი სიჩქარე იცვლება ზღვრებში  $0,1-10 \frac{\text{დ}^3}{\text{ს} \cdot \text{მ}^3 \text{ კატ}} - \text{ზე}$ ; უფრო ხშირად იყენებენ  $0,5-2 \frac{\text{დ}^3}{\text{ს} \cdot \text{მ}^3}$ .


რაც მცირეა მოცულობითი სიჩქარე, მით უფრო მაღალია კრეკინგის ხარისხი; რაც უფრო ხანგრძლივია კრეკინგის პროცესი, სხვა თანაბარ პირობებში, მით უფრო ღრმაა გარდაქმნა.

დროთა განმავლობაში კატალიზატორის აქტივობა ეცემა მის ზედაპირზე კოქსის დალექვის გამო და საჭიროა მისი აღდგენა. კატალიზატორს აღადგენენ მასში ჰაერის გატარებით  $500-600^{\circ}\text{C}$ -ზე. ამ დროს კოქსი იწვის. კატალიზატორის ორ მომდევნო რეგენერაციას შორის განუწყვეტლი კრეკინგის ხანგრძლივობა არსებითად მოქმედებს პროცესის შედეგებზე; საქართველო პირობებში იგი  $10-30$  წუთია.

კრეკინგის პროდუქტებია აირი, ბენზინი, ნავთ-გაზოილის ფრაქცია, კრეკინგ-ნარჩენი და კოქსი. აირის გამოსავალი საშუალოდ  $4-7\%-ია$ , ბენზინისა –  $40-45\%$ , კრეკინგ-ბენზინის ქიმიური შედეგენილობა ასეთია: ნაფტენური ნახშირწყალბადები –  $20-25\%$ , უჯერი –  $5-6\%$ , პარაფინები –  $45-50\%$ , არომატული –  $20-25\%$ .

კატალიზური კრეკინგის გაზოილი პარაფინული შედეგენილობის პროდუქტია. იგი წარმატებით გამოიყენება როგორც დიზელის საწვავი. ატარებენ აგრეთვე მის კრეკინგს

ბენზინის გამოსავლის გადიდების მიზნით. კატალიზატორზე დალექტილი კოქსის რაოდენობა, ნედლეულის შედგენილობის, მისი მოცულობითი სიჩქარისა და პროცესის ტემპრატურული რეჟიმისაგან დამოკიდებულებით, 1-5%-ს შეადგენს.



ნახ. 1.

ნახ.1-ზე წარმოდგენილია კატალიზური კრეკინგის დანადგარის სქემა; მისი მწარმოებლურობაა 150-200 სმ<sup>3</sup>/სთ. რეაქტორი 1 ვერტიკალური დუმელია, რომელშიც ჩადგმულია მნელდნობადი მინის მილი, დიამეტრით 25-35 მმ, ხოლო სიმაღლით – 500-550 მმ. მილის ქვედა ნაწილში მოთავსებულ მინის წყობურზე ჩატვირთავენ კატალიზატორს; სავსე მილს თავზე მოაყრიან, აგრეთვე, მინის წყობურს, რომელზედაც ორთქლდება რეაქტორში მიწოდებული ნედლეული. მილის ბოლოები იზურება რეზინის საცობებით. ზედა საცობში ჩადგმულია მკვებავი ბიურეტი 2 ონკანით 3 და ჯიბე თერმოწყვილისათვის 10. ბიურეტის მოცულობაა 300-400 სმ<sup>3</sup>. ქვედა საცობში ჩადგმულია რეაქციის პროდუქტების რეაქტორიდან მაცივარში გადასაყვანი მილი 6.

ბიურეტის ქვედა ონკანს 3 წინასწარ აგრადუირებენ რეაქტორში ნედლეულის სასურველი სიჩქარით მისაწოდებლად; მისი ზედა სამსვლიანი ონკანი 4 აკავშირებს ბიურეტს ატმოსფეროსთან (როცა მას ავსებენ ნედლეულით) და სისტემაში წნევის გამაწონასწორებელ ხაზთან 5 (დანადგარის მუშაობის პროცესში).

წყლის მაცივრის 6 დანიშნულებაა რეაქტორიდან გამოსული ორთქლის გაცივება და კონდენსაცია, ხოლო მიმღებისა 7, რომელშიც შედის გაცივებული კონდენსატი და კრეკინგ-აირი, თხევადი დასტილატის მოგროვება. მიმღებად გამოყენებულია ჩვეულებრივი მინის კოლბა. აირადი პროდუქტი მიმღებიდან 7 გადადის აბსორბერში 8, სადაც შთაინთქმება ბენზინი. შთამნთქმელად აბსორბერში ჩასხმულია სოლარის ზეთი; მისი დონე აბსორბერში მინიმალური უნდა იყოს (3-5 სმ) სისტემის წინააღმდეგობის შესამცირებლად. აბსორბერიდან გამოსული კრეკინგ-აირი გაზის საათის გავლით მიდის გამწოვ კარადაში. საათის პარალელურად სისტემაში ჩართულია ასპირატორი 9 საანალიზოდ აირის სიჯის ასაღებად; იგი შევსებულია სუფრის მარილის ნაჯერი ხსნარით (ეს აუცილებელია იმისათვის, რომ მასში არ გაიზნას კრეკინგ-აირის კომპონენტები). თუ ასპირატორი დიდი მოცულობისაა იგი შეიძლება გამოვიყენოთ აბსორბერიდან გამოსული მთელი აირის შესაგროვებლად. რეაქტორში ტემპერატურა იზომება თერმოწყვილით 10, რომელიც შეერთებულია მილივოლტმეტრთან 11.

ექსპერიმენტის ჩატარების პირობები განისაზღვრება მოცულობით, რომელშიც მითითებულია ნედლეული, პროცესის ტემპერატურა, ნედლეულის მიწოდების მოცულობითი ან წონითი სიჩქარე, პროცესის ხანგრძლივობა კატალიზატორის რეგენერაციის გარეშე და სხვ.

ნედლეულის მიწოდების სიჩქარეს ადგენენ ჩატვირთული კატალიზატორის მოცულობიდან გამომდინარე – 0,5-2

მოცულობა ნედლეული 1 მოცულობა კატალიზატორზე სთ-ში. ცდის ხანგრძლივობა განისაზღვრება თხევადი პროდუქტის საკმარისი რაოდენობით მიღების საჭიროებიდან, რათა შემდეგ შესაძლებელი იყოს ბენზინის, ლიგროინის, გაზოილის გამოსავლის განსაზღვრა (სასურველია თხევადი პროდუქტი მივიღოთ არა ნაკლებ 100-150 სმ<sup>3</sup>). თუ რეაქტორში ჩატვირთულია 100-150 სმ<sup>3</sup> კატალიზატორი და მიწოდების სიჩქარეა 2 მოცულობა ნედლეული 1 მოცულობა კატალიზატორზე საათში, ცდის ხანგრძლივობა შეიძლება 1 საათით განისაზღვროს. მიაზნებულია რეაქტორში ტემპერატურის რეგულირება რეოსტატის საშუალებით 450-500°C-ის ფარგლებში.

ცდის დაწყებამდე საჭიროა შეივსოს ბიურეტი ნედლეულით, ასპირატორი მარილს სნარით და შემოწმდეს დანადგარის ჰერმეტულობა. სრული ჰერმეტულობის მიღწევის შემდეგ ჩართავენ რეაქტორს ელექტროქსელში და როცა ღუმლის ტემპრატურა 300-400°C-ს მიაღწევს ერთხელ კიდევ ამოწმებენ დანადგარის ჰერმეტულობას. საჭირო ტემპერატურის მიღწევის შემდეგ იწყებენ ნედლეულის მიწოდებას დადგენილი სიჩქარით. ყოველ 5 წუთში ინიშნავენ სითხის დონე-სა და ტემპერატურას და შეაქვთ ცხრილში (I ცხრილი).

## I ცხრილი

დრო	ტემპერატურა, °C	ნედლეულის რაოდენობა ბიურეტში, სმ <sup>3</sup>	შენიშვნა
ცდის დასაწყისი — — — — წთ 5 წთ 10 წთ ..... ..... ცდის დასასრული — — — — წთ			

თუ ცდის ხანგრძლივობა 1 საათს აღემატება, ყოველი 1 საათის შემდეგ ატარებენ კატალიზატორის რეგენერაციას. ზუსტად ისე, როგორც პროცესის დამთავრების შემდეგ, ამოწვავენ ცდის განმავლობაში წარმოქმნილ ფის-კოქსოვან დანალექს კატალიზატორიდან. ამისათვის მკვებავი ბიურეტის ნაცვლად რეაქტორს მიუერთებენ ჰაერმბერს, ან ჰაერის მიმწოდებელ ასპირატორს. რეგენერაციის პროცესში რეაქტორში ჰაერის მიწოდების სიჩქარე უნდა იყოს 20-30 დმ<sup>3</sup>/სთ. ტემპერატურა 500-520°C-ს არ უნდა აღემატებოდეს. რეგენერაცია 1-3 სთ გრძელდება, დანალექის რაოდენობის მიხედვით. წვის პროდუქტებს აგროვებენ აირსაზომში. როცა იგი შეივსება იღებენ სინჯს საანალიზოდ CO<sub>2</sub>-ის შემცველობაზე. შემდეგ აირსაზომიდან გამოდევნიან აირს და მას კვლავ იყენებენ ახალი აირის დასაგროვებლად. რეგენერაციას წყვეტენ როცა CO<sub>2</sub>-ის შემცველობა 0,5%-ზე მეტი აღარ იქნება. რეგენერაცია დამთავრებულია მაშინაც, თუ რეაქტორიდან გამოსული აირი არ აამღვრევს კირიან წყალს. რეგენერაციის დამთავრებაზე მიუთითებს, აგრეთვე, ღუმელში ტემპერატურის შემცირება.

კატალიზური კრეკინგის პროცესის დამთავრების შემდეგ განსაზღვრავენ თხევადი პროდუქტების, აირისა და კოქსის გამოსავალს.

თხევადი პროდუქტების გამოსავალს (A) საზღვრავენ მიმღებისა 7 და აბსორბერის 8 აწონვის შედეგების მიხედვით ცდამდე და ცდის შემდეგ. A ტოლია მიმღებისა და აბსორბერის წონაში ნამატთა ჯამისა. მიღებული აირის მოცულობა განისაზღვრება აირსაზომის ან აირის საათის ჩვენებათა მიხედვით, ხოლო მისი მასა მოცულობისა და სიმკვრივის მიხედვით. კოქსოვანი დანალექის მასას ანგარიშობენ კატალიზატორის რეგენერაციის დროს მიღებული წვის პროდუქტების რაოდენობისა და მათში ნახშირორჟანგის შემცველობის მიხედვით.

წვის პროდუქტებში ნახშირორჟანგის საერთო მოცულობას მოცემული წნევისა და ტემპერატურის პირობებში ანგარიშობენ ფორმულით:

$$V = \frac{v_1 a_1 + v_2 a_2 + v_3 a_3 + \dots}{100}$$

სადაც  $V$  არის  $\text{CO}_2$ -ის საერთო მოცულობა,  $\text{dm}^3$ ;

$V_1, V_2, V_3$  და ა.შ. – შესაბამისად, პირველ, მეორე და ა. შ. აირსაზომში დაგროვილი ათრის მოცულობა;

$a_1, a_2, a_3$  და ა. შ. -  $\text{CO}_2$ -ის პროცენტული შემცველობები პირველ, მეორე და ა. შ. აირმზომებიდან აღებულ აირში, შესაბამისად.

აქედან კოქსის რაოდენობა იქნება:

$$G_{\text{ჯო}} = \frac{V \cdot 273 \cdot P \cdot 12}{(273 + t) \cdot 760 \cdot 22,4},$$

სადაც  $P$  არის ატმოსფერული წნევა, მმ ვერცხ.წყ.სვ.;

$t$  – აირის ტემპერატურა აირსაზომში.

ცდის შედეგები შეაქვთ ცხრილშ (II ცხრილი)

ცდის დამთავრების შემდეგ ატარებენ მიღებული თხევადი და აირადი პროდუქტების ანალიზს მათი შედგენილობის დასადგენად. თხევადი პროდუქტები გადააქვთ გამოსახდელ კოლბაში, რომელიც აღჭურვილია ნაძვისებრი დეფლეგმატორით იწყებენ პროდუქტის ფრაქციულ გამოხდას. გამოხდის პროდუქტებს აგროვებენ წინასწარ აწონილ კოლბებში და გამოყოფენ ბენზინის ფრაქციას, რომელიც  $170^{\circ}\text{C}$ -მდე იხდება და ლიგროინის ფრაქციას, რომელიც გამოიხდება  $170-230^{\circ}\text{C}$  ტემპერატურულ შუალედში. კოლბაში დარჩენილი მასა არის კატალიზური კრეკინგის გაზოილი. ბენზინის ფრაქციას უმატებენ აბსორბერში შთანთქმული მსუბუქი ფრაქციების მასას.

ბენზინის, ლიგროინისა და გაზოილის გამოსავალს გამოსახულების პროცენტებში გატარებული ნედლეულის საერთო რაოდენობიდან.

ნედლეული	ცდის პირობები		მიღებული პროდუქტი				დანაკარგები		
	მოცულობა	სიჩქარე, სო- <sup>1</sup>	თხევადი კრიკეტი	ასირბენტის წონაში ნამატი	აირი	კონკრეტული ნედლეული, გ	გარეარგული ნედლეული, გ	კონკრეტული ნედლეული, გ	

## V სამუშაო

### აირის ანალიზი

აირის ანალიზს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს როგორც მრავალი სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოსათვის, ასევე წარმოების კონტროლისათვის, რადგან ხშირად ძირითადი საანგარიშო-ტექნიკური მახასიათებლები სწორედ ამ ანალიზის შედეგებით განისაზღვრება.

აირის ანალიზი, ჩვეულებრივ, ორი ძირითადი ოპერაციისაგან შედგება – სინჯის აღება და მისი გამოკვლევა. თუ სინჯი არასწორად არის აღებული შემდგომი ანალიზი არა-სწორ პასუხს მოგვცემს. აირის შედეგების განსაზღვრისას მიღებული არასწორი შედეგები კი იწვევს მნიშვნელოვან შეცდომებს, რაც არასწორ წარმოდგენას გვიქმნის პროცესის მსელელობაზე, მუშაობის რეჟიმზე, რაც საბოლოოდ არსებითად აისახება ტექნოლოგიური პროცესის მართვასა და რეგულირებაზე.

აირის რაოდენობრივ შედეგებილობას საზღვრავენ აირ-ანალიზატორების საშუალებით. მოქმედების პრონციპის მიხედვით არსებობს ქიმიური და ფიზიკური აირანალიზატორები.


ქიმიურ აირანალიზატორებში აირის შედეგებილობა ისაზღვრება მასში შემავალი კომპონენტების ისეთი შთამნთქმელებით შთანთქმით, რომლებიც ამ შემადგენელ ნაწილებთან მდგრად ქიმიურ ნაერთებს წარმოქმნის.

ფიზიკური აირანალიზატორების მოქმედება დამყარებულია იმ უმნიშვნელოვანესი მოვლენების გამოყენებაზე, რომლებიც თან ახლავს ანალიზს, ან აირნარევის შემადგენელი კომპონენტის რომელიმე ფიზიკური თვისების (მოცულობა, თბური ეფექტი, სიმკვრივე, სიბლანტე, სითბოტევადობა, ელექტრული, ოპტიკური, აკუსტიკური თვისებები და სხვ.)

განსაზღვრაზე, რომელიც საგრძნობლად განსხვავდება სხვა შემადგენლების ანალოგიური თვისებებისაგან.

წანამდებარე სამუშაოში აღწერილია აირის ანალიზის პროცესი ქიმიური აირანალიზატორების გამოყენებით.


ზოგადი ქიმიური ტექნიკოლოგიის ლაბორატორიაში აირის ანალიზს ატარებენ ნახევრადკოქსევის, კოქსვის, პიროლიზის, კრეკინგის, NaCl-ის წყალხსნარის ელექტროლიზის პროცესების საკონტროლოდ. ამისათვის შეიძლება გამოვიყენოთ სხვადასხვა კონსტრუქციის აირანალიზატორები.



ნახ. 1. აირანალიზატორი ΓХП-3

აირანალიზატორი ΓХП-3 (ნახ. 1) შედება 100 სმ<sup>3</sup> მოცულობის ბიურეტისაგან 1; ბიურეტს აქვს სკალა, რომლის დანაყოფის ფასია 0,2 სმ<sup>3</sup>; იგი მოთავსებულია წყლით სავსე მინის ცილინდრში. ხელსაწყოს აქვს შთამნთქმელი ხსნარებით სავსე სამი ჭურჭელი 2, რომლებიც ავსებულია მინის მი-

ლებით შთამნთქმელი სითხეებისა და აირის შეხების ზედაპირის გასაღიდებლად, ონკანებიანი 3 გამანაწილებელი სავარცხელი 4, აირანალიზატორის ცალკეულ ნაწილებს შორის აირის სინჯის გასანაწილებლად. ბიურეტის შიგნით წნევის გასათანაბრუბლად და აირის შესაყვანად და გამოსაყვანად ხელსაწყო აღჭურვილია ჩამკეტსითხიანი გამაწონასწორებელი ჭურჭლით 5. გამაწონასწორებელ ჭურჭელს ავსებენ NaCl-ის ნაჯერი, ან H<sub>2</sub>SO<sub>4</sub>-ის 5%-იანი ხსნარით.



ნახ. 2. აირანალიზატორი LTI

აირანალიზატორი LTI (ნახ. 2) შედგება 100 სმ<sup>3</sup> მოცულობის გრძელი მზომი ბიურეტისაგან 1, რომელიც დაგრადუირებულია 0,2 სმ<sup>3</sup> დანაყოფის ფასით; იგი აღჭურვილია, აგრეთვე, გამანაწილებელი სავარცხლით 2, რომელსაც 5 ქვედა და 2 ზედა შვერილი და a, b და d ონკანები აქვს; ხელსაწყოს აქვს აგრეთვე ოთხი შთამნთქმელი ჭურჭელი 3-6, კვარცის ან ლითონის ფულფი 7, რომელიც შევსებულია სპილენის ოქსიდით, გამაწონასწორებელი ჭურჭელი 8 და სამსვლიანი ონკანი 9, რომელიც აერთებს ხელსაწყოს ატმოს-

ფეროსა და აირსაზომთან. შთამნთქმელი ჭურჭლები 3-5 ავსებულია მინის მილაკებით. ჩამკეტ სითხედ, რომლითაც შევსებულია გამაწონასწორებელი ჭურჭელი, ჩვეულებრივ, გამოიყენება 10%-იანი გოგირდმჟავა, ან NaCl-ის ნაჯერი ხსნარი, რომლებშიც გამოსაყლევი აირების ხსნადობა უმნიშვნელოა. შთამნთქმელებად გამოყენებულია: 3 ჭურჭელში – KOH-ის 33%-იანი ხსნარი H<sub>2</sub>S-ისა და CO<sub>2</sub>-ის შთასანთქმელად; 4 ჭურჭელში – ბრომით გაჯერებული KBr-ის 20%-იანი ხსნარი უჯერი ნახშირწყალბადების შთასანთქმელად; 5 ჭურჭელში – პიროგალოლის ტუტეხსნარი O<sub>2</sub>-ის შთასანთქმელად; 6 ჭურჭელში – სპილენის (I) ქლორიდის ამიაკიანი ხსნარი CO-ს შთასნთქმელად.

მუშაობის დაწყებამდე ამოწმებენ აირანალიზატორის ყველა ონკანისა და შეერთების ჰერმეტულობას. როცა გამაწონასწორებელი ჭურჭელი ქვედა მდგომარეობაშია შთამნთქმელ ჭურჭლებში რეაქტივებისა და ბიურეტში ჩამკეტი სითხის დონეები არ უნდა იცვლებოდეს. ხელსაწყოს ყველა ნაწილის სისუფთავის შემოწმების შემდეგ, სითხეთა დონეები შთამნთქმელ ჭურჭლებსა და საზომ ბიურეტში აპყავთ კაპილარებზე ონკანების ქვემოთ აღნიშნულ ჭდებამდე.

საზომ ბიურეტში იღებენ 100 სმ<sup>3</sup> ჰაერს, რომლიდანაც უანგბადს (20,9%) შთანთქამენ პიროგალოლის ტუტეხსნარით (შთამნთქმელი ჭურჭელი 5). დარჩენილი აზოტით გალდასმით განბერავენ სავარცხელსა და ყულფს. ბიურეტში ჩამკეტი სითხე აპყავთ ჭდემდე.

ხელსაწყოს ამგავარად მომზადების შემდეგ იღებენ აირის სინჯს. საზომ ბიურეტს სამსვლიანი ონკანით 9 მიუერთებენ აირსაზომს (ამ დროს გამაწონასწორებელი ჭურჭელი აწეულია ბიურეტის ზედა ჭდემდე) და გამაწონასწორებელი ჭურჭლის ნელი დაწევით გადაპყავთ აირი აირსაზომიდან საზომ ბიურეტში (100 სმ<sup>3</sup>). ამის შემდეგ ბიურეტს გამორთავენ აირსაზომიდან. CO<sub>2</sub>-ისა და H<sub>2</sub>S-ის ჯამური განსაზ-

ღვრისათვის აირი გადაჰყავთ KOH-იან ჭურჭელში და გადმოჰყავთ უკან, ბიურეტში. აირის შთამნთქმელ ჭურჭელში გადაყვან-გადმოყვანა ხორციელდება გამაწონასწორებელი ჭურჭლის ნელი აწევ-დაწევით. ამას იმეორებენ 6-8-ჯერ, რის შემდეგ შთამნთქმელი სითხის დონე მიჰყავთ ჭდემდე, ჭურჭლის ონკანს გადაკეტავენ (ბიურეტისას – არა) და გამაწონასწორებელ ჭურჭელსა და საზომ ბიურეტში სითხების ერთნაირი დონის დროს ზომავენ დარჩენილი აირის მოცულობას. ამ ოპერაციას იმეორებენ მანამ, სანამ დარენილი აირის მოცულობა უცვლელი არ გახდება. CO<sub>2</sub>-ისა და H<sub>2</sub>S-ის მოცულობა გამოითვლება ფორმულით:

$$V_1 = V_0 - V_2,$$

სადაც  $V_0$  არის საანალიზოთ აღებული აირის მოცულობა (ჩვეულებრივ 100 სმ<sup>3</sup>);

$V_1$  - CO<sub>2</sub>-ისა და H<sub>2</sub>S-ის შთანთქმის შემდეგ დარჩენილი აირის მოცულობა.

უკერი ნახშირწყალბადების შთასანთქმელად აირი გადაჰყავთ ბრომიანი წყლით სავსე ჭურჭელში 4 (5-6-ჯერ), შემდეგ კი KOH-იან ჭურჭელში 3 გამოყოფილი ბრომის ორთქლის შთასანთქმელად, ბოლოს კი – ბიურეტში და ზომავენ დარჩენილი აირის მოცულობას.


ჟანგბადის შთასანთქმელად აირი გადაჰყავთ პიროგალოლის ტუტებსნარიან ჭურჭელში 5. ჟანგბადი ნელა შთაინთქმება, ამიტომ საჭიროა გამაწონასწორებელი ჭურჭლის 15-17-ჯერ აწევ-დაწევა ჭურჭელში აირის გადასაყვან-გადმოსაყვანად. შთანთქმას დამთავრებულად თვლიან თუ ბოლო ორი შედეგი ერთმანეთს დაემთხვა.

CO<sub>2</sub>-ს შთანთქავენ სპილენძის (I) ქლორიდის ამიაკიანი ხსნარით. ეს პროცესიც ნელა მიმდინარეობს, ამიტომ აირი ბიურეტიდან შთამნთქმელ ჭურჭელში 6 და პირიქით 14-15-ჯერ გადაჰყავთ.

აირის ანალიზის დროს აუცილებლად უნდა დავიცვათ შთანთქმის აღწერილი თანამიმდევრობა, წინააღმდეგ შემთხვევაში ანალიზის შედეგები სწორი არ იქნება.

აირის შემაღებული კომპონენტების შთანთქმის დამთავრების შემდეგ იწყებენ წყალბადისა და ნახშირწყალბადების ანალიზს. ამისათვის აღებენ *a*, *b* და *d* ონკანებს, აერთებენ სავარცხელს და საზომ ბიურეტს ყულფთან, რომელშიც მოთავსებულია სპილენძის ოქსიდი; აღებენ აგრეთვე შთამნთქმელი ჭურჭლის 5 ონკანს. სპეციალურ სადგარზე დამაგრებული მილა ელექტროლუმლის საშუალებით ყულფს აცხელებენ 270-300°C-მდე. საჭირო ტემპერატურის მიღწევის შემდეგ აირი საზომი ბიურეტიდან ნელა გადაჰყავთ KOH-იან ჭურჭელში და უკან (6-10-ჯერ). ყოველი 3-4 გადაყვანის შემდეგ ამოწმებენ აირის მოცულობას.

ყულფში წყალბადი იწვის და გარდაიქმნება წყლად; ნაწილობრივ აღდგება CuO:



ყულფის სრული გაცივების შემდეგ ზომავენ დარჩენილი აირის მოცულობას. აირის მოცულობა მცირდება დამწვარი წყალბადის მოცულობის შესაბამისი სიდიდით. შემდეგ ყულფს აცხელებენ 850-900°C-მდე და დარჩენილ აირს გაატარებენ მასში 10-15 სმ<sup>3</sup>/წთ სიჩქარით მუდმივი მოცულობის მიღებამდე. აირი გადაჰყავთ KOH-იან ჭურჭელში ნაჯერი ნახშირწყალბადების წვის შედეგად წარმოქმნილი CO<sub>2</sub>-ის შთასანთქმელად:



ამის შემდეგ ღუმელს მოხსნაან და ყულფს აცივებენ; მაგრამ ასეთ მაღალ ტემპერატურაზე შესაძლებელია CuO-ს

დისოციაცია ჟანგბადის გამოყოფით, ამიტომ ცდომილების თავიდან ასაცილებლად აირს ატარებენ პიროვალოლის ტუტებისარიან ჭურჭელში მოსალოდნელი გამოყოფილი ჟანგბადის შთასანთქმელად; მხოლოდ ამის შემდეგ გაზომავენ დარჩენილი აირის მოცულობას. მოცულობის შემცირება ტოლია შთანთქმული  $\text{CO}_2$ -ის რაოდენობისა, რაც შეესაბამება საანალიზო აირში შემავალი მეთანის ან სხვა ნაჯერი ნახშირწყალბადების რაოდენობას.

### აირის სიმკვრივის განსაზღვრა

აირადი ნივთიერების სიმკვრივეს საზღვრავენ აირის პიკნომეტრით (ევაკუირებული კოლბა), ან გამოდევნის მეთოდით. პირველ შემთხვევაში წინასწარ წონიან პიკნომეტრს, ამისათვის მას ღია ონკანით შეაერთებენ ვაკუუმ-ტუმბოსთან; ჰაერის გამოტუმბვის შემდეგ გადაკეტავენ ვენტილს, პიკნომეტრს გამორთავენ ტუმბოსაგან. ევაკუირებულ პიკნომეტრს წონიან ანალიზურ სასწორზე. შემდეგ მას ავსებენ საკვლევი აირით. ამისათვის პიკნომეტრს აერთებენ ბიურეტოან და აირი გადაჰყავთ ბიურეტიდან პიკნომეტრში დამწნევი ჭურჭლის საშუალებით, მანამ სანამ წნევა ორივე ჭურჭელში არ გაუტოლდება ატმოსფერულს. ამის შემდგ პიკნომეტრს გამორთავენ ბიურეტიდან და კვლავ აწონიან. აირის სიმკვრივეს ანგარიშობენ ფორმულით:

$$\rho = \frac{G_2 - G_1}{V_0} \cdot 1000, [\text{გ/ლ}]$$

სადაც  $G_1$  არის ევაკუირებული პიკნომეტრის მასა, გ;

$G_2$  - აირით სავსე პიკნომეტრის მასა, გ;

$V_0$  - აირის მოცულობა ნორმალურ პირობებში, სმ<sup>3</sup>.

$$V_0 = \frac{VP \cdot 273}{760(273+t)},$$

სადაც  $V$  არის ბიურეტიდან მიწოდებული აირის მოცულობა, სმ<sup>3</sup>;

$t$  - ტემპრატურა  $^{\circ}\text{C}$ ;

$P$  - ატმოსფერული წნევა, მმ. ვერცხწყ. სვ.


ხოლო აირის სიმკვრივე ჰაერის მიმართ იქნება

$$d = r/1, 293.$$

გამოდევნის მეთოდით აირის სიმკვრივეს საზღვრავენ ბილინგის ხელსაწყოს საშუალებით (ნახ.3). ხელსაწყოს ძირითადი ნაწილია მინის მილი 1, რომელსაც ორი შევიწროებული ნაწილი აქვს. მილი მოთავსებულია ლითონის დამცავ გარსაცმში 2; ზედა ნაწილში მას აქვს სამსვლიანი ონკანი 4. ონკანი მინის მილს აერთებს ატმოსფეროსთან გვრდითი გამყვანით 5, ან ლოთონის მილით 6, რომელშიც მოავსებულია ხვრელიანი პლატინის ფირფიტა. ცილინდრში ასხამენ წყალს და მინის მილს აერთებენ ატმოსფეროსთან (ამ დროს სახურავი მჭიდროდ არ არის დახურული). გვერდით გამყვანს 5 მიუერთებენ საკვლევ აირიან აირსაზომს. აირი ავსებს მილს და გამოდევნის წყალს. როცა აირი მივა ქვედა ჭდემდე მინის მილს სამსვლიანი ონკანით შეაერთებენ ატმოსფეროსთან ლითონის მილით 6; აირი გამოიდევნება პლატინის ფირფიტის ხვრელში; როცა წყლის დონე მიაღწევს ქვედა ჭდეს ჩარ-ხება“ აირით.

სიმკვრივის განსასაზღვრავად მილს ერთხელ კიდევ შეავსებენ აირით ჭდეზე 2-3 სმ-ით ქვემოთ. სამსვლიანი ონკანის გადართვით აირს გაატარებენ პლატინის ფირფიტის ხვრელში; როცა წყლის დონე მიაღწევს ქვედა ჭდეს ჩარ-

თავენ წამსაზომს და ჩაინიშნავენ დროს, რომლის გან-  
მავლობაშიც წყალი მიაღწევს მინის მილის ზედა ჭდეს. ასევე  
განსაზღვრავენ ჰაერის გამოდევნის დროს.



ნახ. 3. პილინგის ხელსაწყო

აირის სიმკვრივეს ჰაერის მიმართ ანგარიშობენ ფორ-  
მულით:

$$d = t_1/t_2$$

სადაც  $t_1$  და  $t_2$  არის აირისა და ჰაერის გამოდევნის დრო,  
შესაბამისად.

## VI სამუშაო

## ნატრიუმის ქლორიდის წყალხსნარის ელექტროლიზი

წყალხსნარებში მიმდინარე ელექტროქიმიური პროცე-  
სების ყველაზე ტიპური მაგალითია ნატრიუმის ქლორიდის  
წყალხსნარის ელექტროლიზი.

ელექტროქიმიურს უწოდებენ პროცესებს, რომლებიც  
მიმდინარეობს მუდმივი ელექტროდენის მოქმედებით და დაკა-  
ვშირებულია ელექტროგნერგიის ქიმიურ ენერგიად გარდაქმნას-  
თან და პირიქით. ქიმიური ენერგია ელექტრონერგიად გარ-  
დაიქმნება აკუმულატორების მუშაობის პროცესში, ხოლო  
ელექტროენერგია ქიმიურად – ხსნარებისა და გამდნარი მა-  
სების ელექტროლიზის დროს, რაც ფართოდ გამოიყენება ქი-  
მიურ, მეტალურგიულ და მრეწველობის სხვა დარგებში.

სხვადასხვა ნივთიერებების წყალხსნარების ელექტრო-  
ლიზის შედეგად ღებულობენ ჟანგბადს, წყალბადს, ქლორს,  
ტუტებს, ჰიპოქლინიდს, ქლორატებს, პერმანგანატს, წყალ-  
ბადის ზეჟანგს, ლითონებსა და სხვა ნაერთებს.


ფერადი ლითონების მეტალურგიაში წყალხსნარების  
ელექტროლიზი უმნიშვნელოვანესი პროცესია სპილენძის, ნი-  
კელის, თუთიისა და სხვა ლითონების წარმოებაში. გალვანუ-  
რი წესით წყალხსნარებიდან ელექტროლიზით ფარავენ სხვა-  
დასხვა ზედაპირს ნიკელით, ქრომით, სპილენძით, თუთით,  
ოქროთი და სხვა ლითონებით, რომლებიც იცავს ნაკეთობებს  
კოროზიისაგან და აძლევს მათ კარგ იერს. გამდნარი მასების  
ელექტროლიზი ერთ-ერთი ძირითადი პროცესია ალუმინის,  
მაგნიუმის, კალციუმის, ნატრიუმისა და ზოგიერთი სხვა ლი-  
თონის მისაღებად, რომელთა დალექვა კათოდზე წყალხსნა-  
რებში არ არის შესაძლებელი მათი მაღალი ელექტროუარ-  
ყოფითი პოტენციალის გამო.

ელექტროლიზს უწოდებენ ელექტროლიტების დაშლას მუდმივი ელექტროდენის საშუალებით, რასაც თან ახლავს ახალი ნივთიერებების წარმოქმნა. თუ ელექტროდებზე მოდებულია ძაბვა ელექტროლიტის ანიონები მოძრაობები ანოდი-საკენ, ხოლო კატიონები კათოდისაკენ. ანოდზე ანიონები გასცემს ელექტრონებს, ე. ი. იუანგება; კათოდზე კი კატიონები იერთებს ელექტრონებს, ე. ი. აღსდგება. ამ დროს იონები შეიძლება განიმუშტონ და ელექტროდებზე წარმოქმნან ნეიტრალური ნივთიერებები მყარ, თხევად და აირად მდგომარეობაში.

თეორიულად ელექტროლიტის ხსნარში არსებული რამდენიმე იონიდან ელექტროდზე გამოიყოფა ის, რომელსაც აქვს ყველაზე დაბალი წონასწორული პოტენციალი. ეს იძლევა საშუალებას წყალხსნარებში ერთდროულად რამდენიმე ლითონის იონის არსებობისას გამოვყოთ ჩვენთვის სასურველი.


NaCl-ის წყალხსნარის ელექტროლიზი ყველაზე მარტივი და ეკონომიური მეთოდია ერთდროულად სამი ძვირფასი პროდუქტის – ქლორის, წყალბადისა და ნატრიუმის ტუტის მისაღებად იაფი და ფართოდ გავრცელებული ნედლეულიდან – სუფრის მარილიდან. NaCl-ის წყალხსნარის ელექტროლიზს ატარებენ ორი ხერხით: დიაფრაგმიან აბაზანებში ფოლადის კათოდებით და უდიაფრაგმო აბაზანებში ვერცხლის-წყლის კათოდის გამოყენებით. ელექტროლიზის აირადი პროდუქტები - ქლორი და წყალბადი – ორივე შემთხვევაში გამოირჩევა მაღალი კონცენტრაციითა და სისუფთავით. ვერცხლის-წყლის კათოდით ელექტროლიზის ჩატარებისას მესამე პროდუქტი – ნატრიუმის ტუტე – ასევე მაღალი კონცენტრაციისა და ქიმიურად სუფთა მიღება. ამ უპირატესობათა გამო ქლორის წარმოების ელექტროქიმიურმა მეთოდმა მთლიანად გამოდევნა მისი მიღების ქიმიური მეთოდები.

ელექტროდებზე მიმდინარე ძირითადი პროცესები. NaCl წყალში გახსნისას დისოცირდება:



წყალხსნარი შეიცავს  $\text{Na}^+$ -ის,  $\text{Cl}^-$ -ის,  $\text{H}^+$ -ისა და  $\text{OH}^-$ -ის იონებს.


ასეთი ხსნარის ელექტროლიზის დროს თეორიულად შესაძლებელია  $\text{Na}^+$ -სა და  $\text{H}^+$ -ის კატიონების განმუხტვა კათოდზე და  $\text{OH}^-$ -ისა და  $\text{Cl}^-$ -ის ანიონებისა – ანოდზე. მაგრამ ამ იონებიდან სინამდვილეში რომელი განიმუხტება ელექტროდებზე და რა თანამიმდევრობით ეს დამოკიდებულია, უწინარეს ყოვლისა, იონების განმუხტვის პოტენციალზე და მათ თანაფარდობაზე  $\text{NaCl}$ -ის ნაჯერ ნეიტრალურ წყალხსნარში.  $\varphi_{\text{H}^+} = -0,415$  ვ-ს და  $\varphi_{\text{Na}^+} = -2,713$  ვ-ს. რადგან წყალბადის იონს უფრო დადგებითი განმუხტვის პოტენციალი აქვს, ასეთი ხსნარის ელექტროლიზის დროს, მიუხედავად წყალბადიონების დაბალი კონცენტრაციისა, ფოლადის კათოდზე გამოიყოფა მხოლოდ წყალბადი, შემდეგი რეაქციით:



უანგბადის განმუხტვის წონასწორული პოტენციალი  $\varphi_{\text{O}_2(\text{OH}^-)} = +0,82$  ვ-ს, ქლორისა -  $\varphi_{\text{Cl}_2} = +1,33$  ვ-ს.

ანოდზე პირველად განიმუხტება ნაკლებად დადგებითი ანიონი; მაშასადამე უნდა ვითიქროთ, რომ ამ შემთხვევაში მასზე განიმუხტება ჰიდროქსიდის იონები უანგბადის გამოყოფით. მაგრამ ისეთ ანოდებზე, როგორიცაა ნახშირი, გრაფიტი, პლატინა უანგბადი გამოიყოფა მხოლოდ დიდი გადამაბვით (ძაბვა აღმატება 1,36 ვ-ს), რაც განაპირობებს უანგბადის


განმუხტვის პოტენციალის ძლიერ გადიდებას და ამიტომ ანოდზე უპირატესად  $\text{Cl}^-$ -ის იონები განიმუხტება:




პირველადი პროცესის (ა) შედეგად კათოდთან რჩება  $\text{OH}^-$ -იონები, რომლებიც  $\text{Na}^+$ -ის იონებთან წონასწორობაში წარმოქმნიან ნატრიუმის ტუტეს:




ამრიგად,  $\text{NaCl}$ -ის წყალზენარის ელექტროლიზის პროდუქტებია ქლორი, წყალბადი და ნატრიუმის ტუტე. ელექტროლიზის ჯამური რეაქცია შეძლება ასე დავწეროთ:




იონების განმუხტვის შედეგად ანოდზე უმნიშვნელო რაოდენობით ჟანგაბადიც გამოიყოფა:



გამოყოფილი ჟანგბადის ურთიერთქმედებით ანოდის ნახშირბადთან მიღის მეორეული პროცესი:



აირადი ქლორი, იხსნება რა ანოლიტში, ურთიერთქმედებს წყალსა და ტუტესთან და წარმოქმნის ნატრიუმის პიპოქლორიტს, ქლორატსა და ქლორიდს:




ყველა ეს მეორეული პროცესი ამცირებს ძირითადი პროდუქტების გამოსავალს დენის მიხედვით. ელექტროლიზის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ნაწილი იხარჯება  $\text{NaClO}$ -ს  $\text{NaClO}_3$ -მდე დაუანგისას. მეორეული პროცესების თავიდან ასაცილებლად, ან მათ შესამცირებლად, აუცილებელია, რომ ელექტროლიზის პროდუქტები ერთმანეთს არ ერეოდნენ. ამისათვის იყენებენ ფოროვან დიაფრაგმას, რომელიც ერთმანეთისაგან ჰყოფს ანოდურ და კათოდურ სივრცეებს.

დანადგარის აღწერა და სამუშაოს  
ჩატარების მეთოდიკა

ნახაზზე მოცემულია  $\text{NaCl}$ -ის წყალზენარის ელექტროლიზის ლაბორატორიული დანადგარის სქემა. იგი მოიცავს მუდმივი დენის წყაროს (იგი ნახაზზე ნაჩვენები არ არის; აღნიშნულია მხოლოდ კლემები „+“ და „--“, რომლებშიც დენი შემოდის ცვლადი დენის გამმართველიდან), რეოსტატს 7, რომელიც არეგულირებს მუდმივი დენის ძალას, ამპერმეტრს 6, კულონომეტრს 5, ელექტროლიტურ აბაზანას 1, აირსაზომს, რომელიც აბაზანასთან შეერთებულია სამსვლიანი ონკანით ანოდური აირის სინჯის ასაღებად და  $\Gamma\text{ХII-3}$  ტიპის აირანალიზატორს აირის სინჯის გამოსაკვლევად.

ელექტროლიტური აბაზანა დანადგარის ძირითადი აპარატია. იგი არის მინის ჭიქა 1, რომელშიც ჩადგმულია კერამიკული დიაფრაგმა 2. დიაფრაგმის საშუალებით შეგვიძლია ერთმანეთისაგან გავაცალკეოთ ელექტროლიზის ანოდური და კათოდური პროდუქტები და თავიდან ავიცილოთ მეორეული რეაქციები, რომლებიც გაპირობებულია ნატრიუმის ტუტის ურთიერთქმედებით ანოდზე გამოყოფილ აირად ქლორთან.

დიაფრაგმას გარს არტყება პერფორირებული ფოლადის კათოდი 3. ანოდურ და კათოდურ სივრცეს ავსებენ ელექტროლიტის - NaCl-ის ნაჯერი ხსნარის - განსაზღვრული რაოდენობით (300-310 გ/დმ<sup>3</sup>). ანოდურ არეს მჭიდროდ ხურავენ რეზინის საცობით, რომელშიც დატანებულია ნახშირის ანოდი 4, ონკანიანი მინის მილი ანოდური არედან ქლორის გასაყვანად და ონკანიანი ძაბრი ელექტროლიტის ჩასასხმელად.



ქლორის გამყვანი მილი სამსვლიანი ონკანით შეერთებულია შთამნთქმელ ჭურჭლებთან, როლებშიც მოთავსებულია ჩამქრალი კირი ქლორის შთასანთქმელად. შთამნთქმელი ჭურჭლები დაკავშირებულია წყალჭავლურ ტუმბოსთან ან ასპირატორთან სისტემიდან ქლორის გასაწოვად.

კულონომეტრის დანიშნულებაა ელექტროლიტურ აბაზანში გატარებული ელექტრობის რაოდენობის განსაზღვრა. იგი მინის ჭურჭლია, რომელშიც ჩაკიდებულია სპილენის თხელი ფირფიტა - კათოდი. ის მოთავსებულია სპილენისავე ორ სქელ ფირფიტას - ანოდებს - შორის. კულონომეტრი მთლიანად ივსება ელექტროლიტით, რომელიც გოგირდებასპილენის წყალხსნარია. მას უმატებენ გოგირდებას (ელგამტარობის გასაღიდებლად) და ეთილის სპირტს

(სპილენის დაუანგვის თავიდან ასაციებლად). ხსნარის შედგენილობა ასეთია (გ/დმ<sup>3</sup>): CuSO<sub>4</sub>·5H<sub>2</sub>O - 125; ეთილის სპირტი - 50; H<sub>2</sub>SO<sub>4</sub> - 50.

კულონომეტრში დენის გავლისას ანოდიდან ხსნარში გადადის სპილენის ონები, ხოლო კათოდზე აღდგება სპილენის ეკვივალენტური რაოდენობა:



კულონომეტრში გავლილი მთელი დენი მხოლოდ ამ რეაქციაზე იხარჯება, ამიტომ გამოყოფილი სპილენის რაოდენობის მიხედვით ზუსტად შეგვიძლია განვსაზღვროთ გატარებული ელექტრობის რაოდენობა. 96500 კულონი ანუ IF ელექტრობა, რაც ამპერ/საათებში შეადგენს 26,8 ამპ/სთ-ს, ფარადეის კანონის საფუძველზე გამოყოფს ერთ გრამ-ეკვივალენტ სპილენს, ანუ 31,785 გ-ს.

ცდის დაწყებამდე საჭიროა შესრულდეს მოასამზადებელი სამუშაოები:

ა) უნდა განისაზღვროს ნახშირის ანოდის იმ ნაწილის ფართობი, რომელიც ჩაშვებულია NaCl-ის ხსნარში;

ბ) უნდა გამოვითვალოთ დენის ძალა, რომელიც აუცილებელია დენის ანოდური სიმკვრივის - D<sub>s</sub>-ს - უზრუნველსაყოფად. I = D<sub>s</sub> · S,

სადაც I არის დენის ძალა, ამპ;

D<sub>s</sub> - დენის ანოდური სიმკვრივე, ამპ/დმ<sup>2</sup>;

S - ანოდის სამუშაო ფართობი, დმ<sup>2</sup>.

ლაბორატორიულ პირობებში დენის ანოდურ სიმკვრივეს იღებენ 3-3,5 ამპ/დმ<sup>2</sup>-ს (წარმოებაში - 5-15 ამპ/დმ<sup>2</sup>);

გ) კულონომეტრის კათოდი უნდა გაიხეხოს ზუმფარის ქაღალდით, გაირეცხოს, გაშრეს და აიწონოს 0,01 გ-ის სიზუსტით;

დ) ანოდურ და კათოდურ სივრცეებში უნდა ჩაისხას NaCl-ის ნაჯერი ხსნარის განსაზღვრული რაოდენობა;

ე) უნდა აიწყოს დანადგარი, ელექტროქსელი და შემოწმდეს ლაბორანტთან ერთად;

ვ) ჩაირთოს მუდმივი დენი ბოლომდე აწეული რეოსტატით და მისი საშუალებით დაყენდეს ამპერმეტრზე გამოანგარიშებული დენის ძალა;

ზ) ელექტროლიზის პროცესი ჩატარდეს მოცემული დროის განმავლობაში.

ელექტროლიზის პროცესში იღებენ აირის სინჯებს აირსაზომში ან უშუალოდ  $\text{ГХП-3}$  აირანალიზატორში და საზღვრავენ მასში ქლორის, ნახშირორჟანგისა და უანგბადის შემცველობას. ცდის დამთავრების შემდეგ იღებენ სინჯს კათოდური სივრციდან ( $6\text{-}10 \text{ см}^3$  ხსნარი) წარმოქმნილი ნატრიუმის ტუტის ფაქტობრივი რაოდენობის განსასაზღვრავად. საკვლევ ხსნარს ტიტრავენ  $0,1 \text{ н}$  მარილმჟავას ხსნარით; ინდიკატორად იყენებენ ფენოლფტალეინს.

წარმოქმნილი ნატრიუმის ტუტის რაოდენობის მიხედვით გაიანგარიშება  $\text{NaOH}$ -ის  $\%$ -ული გამოსავალი დენის მიმართ:

$$\eta = \frac{G_{\text{зк}}}{G_{\text{о}}} ,$$

სადაც  $G_{\text{зк}}$  არის ელექტროლიზის დროს ფაქტობრივად გამოყოფილი  $\text{NaOH}$ -ის რაოდენობა, გ;

$G_{\text{о}}$  -  $\text{NaOH}$ -ის რაოდენობა, რომელიც უნდა წარმოქმნილიყო თეორიულად ფარადეის კანონის მიხედვით ელექტრობის იგივე ხარჯის შემთხვევაში.

$$G_{\text{о}} = \frac{I\tau A}{nF}, \quad \text{ან} \quad G_{\text{о}} = I\tau E,$$

სადაც  $I$  არის დენის ძალა, ამპ;

$A$  - ატომური წონა. ან იონის მასა, გ.

$n$  - იონის ვალენტობა;

$F$  - ფარადეის რიცხვი, რომელიც შეესაბამება ელექტრობის იმ რაოდენობას, რომელიც უნდა გატარდეს ელექტროლიტში ერთი გრამ-ეკვივალენტი ნივთიერების ( $A/n$ ) გამოსაყოფად;  $F = 96500 \text{ кულონი/გ-ეკვ}$ , ან  $26,8 \text{ ამპ-სთ/გ-ეკვ}$ ;

$E$  - ელექტროქიმიური ეკვივალენტი, ანუ ნივთიერების გრამების რაოდენობა, რომელიც გამოიყოფა ელექტროლიტში ერთი ამპერ-სათი ელექტრობის გავლის დროს :  $E = \frac{A}{nF}$ ;

$\text{NaOH}$ -ისათვის  $E = 1,492 \text{ გ/ამპ-სთ}$ .

პროდუქტის ფაქტობრივად მიღებული რაოდენობა  $G_{\text{зк}}$  განისაზღვრება კათოდური ხსნარის კონცენტრაციისა და რაოდენობის მიხედვით:

$$G_{\text{зк}} = C_{\text{NaOH}} \cdot V_k ,$$

სადაც  $C_{\text{NaOH}}$  არის  $\text{NaOH}$ -ის კონცენტრაციის კათოლიტში,  $\text{г/დм}^3$ ;  $V_k$  - ხსნარის მოცულობა კათოდურ სივრცეში.

$$C_{\text{NaOH}} = \frac{a \cdot k \cdot 0,004 \cdot 1000}{b} ,$$

სადაც  $a$  არის კათოლიტის აღებული რაოდენობის გატიტვრაზე დახარჯული  $0,1 \text{ н}$   $\text{HCl}$ -ის რაოდენობა,  $\text{л}^3$ ;  $k$  - ხსნარის ნორმალობის შემასწორებელი კოეფიციენტი;

$b$  - გასატიტრად აღებული კათოლიტის რაოდენობა,  $\text{л}^3$ ;

$0,004$  -  $\text{NaOH}$ -ის გ-ების რაოდენობა, რომელიც შეესაბამება  $1 \text{ л}^3 0,1 \text{ н}$   $\text{HCl}$ -ს.

ანოდურ არეში  $\text{OH}^-$ -იონების მნიშვნელოვანი დიფუზი-ისა და მეორეული პროცესების მიმდინარეობის გამო ლაბო-რატორიული ტიპის პერიოდული მოქმედების აბაზანებისათვის დენის მიხედვით გამოსავალი ნაკლებია, ვიდრე განუწყვეტე-ლი მოქმედების აპარატებში და მხოლოდ 75-80%-ს აღწევს.

დენის მიხედვით ქლორის გამოსავალს ანოდური სი-ვრცის აირის ანალიზის შედეგების მიხედვით საზღვრავენ. ეს აირი შემდეგი კომპონენტებისაგან შედგება:

1. ქლორი, რომელიც წარმოიქმნება ძირითადი ანოდური პროცესის – იონების განმუხტვის – შედეგად;

2. უანგბადი, რომელიც გამოიყოფა ანოდზე  $\text{OH}^-$ -ის იო-ნების განმუხტვის შედეგად;

3. ნახშირის ანოდების უანგბადთან ურთიერთქმედებისას წარმოქმნილი ნახშირორჟანგი.

აირის ანალიზს ატარებენ  $\Gamma\text{ХII-3}$  ტიპის აირანალი-ზატორით, რომელსაც აქვს სამი შთამნთქმელი ჭურჭელი:  $I$  ჭურჭელი შევსებულია ნატრიუმის ჰიპოსულფიტის 10%-ია-ნი ხსნარით ქლორის შთანთქმისათვის;  $II$  ჭურჭელი, რომ-ლის დანიშნულებაა ნახშირორჟანგის შთანთქმა, შევსებულია კალიუმის ტუტის 33%-იანი ხსნარით;  $III$  ჭურჭელი შევსე-ბულია პიროგალოლის ტუტებსნარით და განკუთვნილია უა-გბადის შთასანთქმელად. აირის ანალიზის დროს აუცილე-ბელია შთანთქმის თანამიმდევრობის დაცვა: აირი საზომი ბი-ურეტიდან გადაპყავთ ჯერ  $I$  ჭურჭელში (6-8-ჯერ) ქლორის შთასანთქმელად, შემდეგ  $II$ -ში – ნახშირორჟანგის შთანთქმი-სათვის (6-8-ჯერ) და, ბოლოს,  $III$ -ში – უანგბადის შთასან-თქმელად (15-18-ჯერ). ამ თანამიმდევრობის დარღვევა არა-სწორ შედეგს იძლევა, რადგან პიროგალოლის ტუტებსნარი ნახშირორჟანგსაც შთანთქავს.

აირის სინჯის ასაღებად  $\text{NaCl}$ -ის ნაჯერი ხსნარით სავსე აირსაზომს სამსვლიანი ონკანით მიუერთებენ აირსაზომს (ამ დროს გამაწონასწორებელი ჭურ-ჭელი აწეულია ზედით საზომი ბიურეტის ზედა ჭდის დო-ნემდე) და გამაწონასწორებელი ჭურჭლის ქვემოთ ნელი და-შვებით გადაპყავთ აირი აირსაზომიდან ბიურეტში ( $100 \text{ см}^3$ ); ბიურეტს გამორთავენ აირსაზომიდან.

ბენ სითხეს. იღებენ არა ნაკლებ 250  $\text{სმ}^3$  აირს. თუ სინჯი უშეულოდ აირანალიზატორში აიღება პირველ 100  $\text{სმ}^3$ -ს იყენებენ აირანალიზატორის, მისი სავარცხლისა და მიღების განსაბერად, წინა სინჯის ნარჩენებისაგან გასათავისუფლებ-ლად.

ხელსაწყოს ამზადებენ ანალიზისათვის. გამაწონასწო-რებელი ჭურჭლის საშუალებით სითხები შთამნთქმელ ჭურ-ჭლებში აპყავთ კაპილარებზე აღნიშნულ ჭდებამდე. შემდეგ საზომ ბიურეტს ავსებენ სითხით ზედა ჭდემდე. ამოწმებენ ხელსაწყოს ჰერმეტულობას. სინჯის აღების წინ აუცილებე-ლია გამანაწილებელი სავარცხლის „გარეცხვა“ საანალიზო აირით მასში არსებული ჰაერის გასადევნად. ამისათვის საზომ ბიურეტში იღებენ 15-20  $\text{სმ}^3$  აირს აირსაზომიდან და უშვებენ ჰაერში სამსვლიანი ონკანის საშუალებით. გამაწო-ნასწორებელი სითხე კვლავ აპყავთ საზომ ბიურეტში ზედა ჭდემდე (ნულოვან დანაყოფამდე).

შემდეგ საზომ ბიურეტს სამსვლიანი ონკანით მიუ-ერთებენ აირსაზომს (ამ დროს გამაწონასწორებელი ჭურ-ჭელი აწეულია ზედით საზომი ბიურეტის ზედა ჭდის დო-ნემდე) და გამაწონასწორებელი ჭურჭლის ქვემოთ ნელი და-შვებით გადაპყავთ აირი აირსაზომიდან ბიურეტში ( $100 \text{ см}^3$ ); ბიურეტს გამორთავენ აირსაზომიდან.

ქლორის შემცველობის დასადგენად აირი გადაპყავთ ნატრიუმის ჰიპოსულფიტიან ჭურჭელში და შემდეგ უკან – ბიურეტში. ეს ხდება გამაწონასწორებელი ჭურჭლის ნელი აწევითა და დაწევით. ასე აკეთებენ 6-8-ჯერ, რის შემდეგ შთამნთქმელი სითხის დონე მიჰყავთ ჭდემდე. ონკანს დაკე-ტავენ და საზომ ბიურეტსა და გამაწონასწორებელ ჭურ-ჭელში სითხების ერთნაირი დონის პირობებში გაზომავენ დარჩენილი აირის მოცულობას. ამ ოპერაციას იმეორებენ მანამ, სანამ დარჩენილი აირის მოცულობა უცვლელი არ იქნება. ქლორის მოცულობა იქნება:

$$V = V_0 - V_I,$$

სადაც  $V$  არის ქლორის მოცულობა;

$V_0$  - საანალიზოდ აღებული აირის მოცულობა (100 სმ<sup>3</sup>);

$V_I$  - ქლორის შთანთქმის შემდეგ დარჩენილი აირის მოცულობა.

ამის შემდეგ ანალოგიურად განსაზღვრავენ ნახშირორ-ჟანგისა და ჟანგბადის შემცველობას. პროცესის დამთავრების შემდეგ კულონომეტრის კათოდი უნდა გაირუცხოს წყლის ჭავლით, გაშრეს საშრობ კარადაში და აიწონოს.

ცდის მონაცემები შეაქვთ ცხრილებში.

### I ცხრილი

კლემტ-როლი-ტის რაოდენობა	ანოდურ არეში	ანოდის სატუშაზე ზედაპირი, სმ <sup>2</sup>	დენის ანოდური სიმკრიფე, D <sub>s</sub> , ამ/დგ <sup>2</sup>	კულონო-მეტრის სპილენბის კათოდის მასა, გ	გულონო-უმის ტუტის რაოდენობა, გ	ნატრიუმის ტუტის რაოდენობა, გ	NaOH-ის გამოსაკვალი, %
კლემტ-როლიტის ნანგრძლივობა, სთ, წთ.	დენის მაღალ I, ამშ.	კლემტ-როლიტის ნანგრძლივობა, სთ, წთ.	ცდის მდგრავ	ცდის მდგრავ	თურიული, G <sub>m</sub>	კრაქტიგული, G <sub>k</sub>	

### II ცხრილი

აირის სინჯის ნიმუში	სინჯის აღების დრო	ანოდური აირის შედგენილობა, %		
		ქლორი	ნახშირორჟანგი	ჟანგბადი

ჩატარებული სამუშაოს გასაფორმებლად საჭიროა:

1. დაიხაზოს დანადგარის სქემა;
2. აიწეროს ელექტროლიტის დროს მიმდინარე პროცესი;
3. ჩამოიწეროს მოცემულობა;
4. გავიანგარიშოთ NaOH-ის გამოსავალი დენის მიხედვით;
5. ექსპერიმენტისა და გამოთვლების შედეგები შევიტანოთ ცხრილში.

### VII სამუშაო

#### იდეალური შერევის პერიოდული

## მოქმედების რეაქტორის გამოკვლევა

ქიმიურ-ტექნოლოგიური პროცესის ძირითადი ელემენტია ქიმიური რეაქტორი – აპარატი, რომელშიც ქიმიური პროცესის მიმდინარეობის შედეგად ამოსავალი რეაგენტები წარმოების პროდუქტებად გარდაქმნება. ქიმიურ-ტექნოლოგიური პროცესი არის რეაქტორში გარკვეული თანამიმდევრობით მიმდინარე ქიმიური რეაქციებისა და ნივთიერების, სითბოსა და იმპულსის გადატანის ფიზიკური მოვლენების ერთობლიობა.

არსებობს ქიმიური რეაქტორებისა და მათი მუშაობის რეჟიმების კლასიფიკაციის რამდენიმე ხერხი. ყველაზე მეტად გავრცელებულია კლასიფიკაცია რეაქტორში არსებული პიდროლინამიკური რეჟიმის (შერევისა და გამოდევნის), პროცესის ორგანიზაციის (პერიოდული, უწყვეტი, ნახევრადუწყეტი), სარეაქციო ნარევის ფაზური შედეგნილობისა (რეაქტორები პომოგენური და ჰეტეროგენული პროცესებისათვის) და თბური რეჟიმის (ადიაბატური, იზოთერმული, პოლიტროპული რეჟიმით მოუშავე რეაქტორები) მიხედვით.

მოცემული ამოცანა ითვალისწინებს იდეალური შერევის პერიოდული მოქმედების რეაქტორის შესწავლას.

**ლაბორატორიული სამუშაო:** იდეალური შერევის პერიოდული მოქმედების რეაქტორი.

**სამუშაოს მიზანი:** ქიმიური რეაქციის კინეტიკის გამოკვლევა იდეალური შერევის პერიოდული მოქმედების რეაქტორში; ქიმიური რაქციის სიჩქარის მუდმივას, აქტივაციის ენერგიისა და სხვა პარამეტრების განსაზღვრა.

**თეორიული საფუძლები**

ქიმიურ გარდაქმნათა კინეტიკის თავისებურებების შესწავლად მოსახერხებელი ობიექტია იდეალური შერევის პერიოდული მოქმედების რეაქტორი.

იდეალური შერევის რეჟიმისათვის დამახასიათებელია შემდეგი დაშვებები:

- ტექნოლოგიური პარამეტრების მყისიერი შეცვლა და გათანაბრება რეაქტორის მთელ მოცულობაში;
- ტექნოლოგიური პარამეტრების მნიშვნელობათა ტოლობა რეაქტორის მოცულობასა და მის გამოსასვლელში.


იდეალური შერევის პერიოდულ რეაქტორში იდეალურობის დაშვების შესაბამისად რეაგენტების კონცენტრაციების, გარდაქმნის ხარისხის, ტემპერატურის, რეაქციის სიჩქარისა და სხვა პარამეტრების მნიშვნელობები ერთნაირი იქნება რეაქტორის მოცულობის ნებისმიერ წერტილში დროის ნებისმიერ მომენტში, მაგრამ განსხვავებული დროის სხვა მომენტისათვის (ნახ 1.). ამრიგად, პერიოდულ რეაქტორში მიმდინარე პროცესი არასტაციონარულია (დაუმყარებელია).

ქიმიური რეაქციის კინეტიკური პარამეტრების განსაზღვრისათვის შეიძლება გამოვიყენოთ იდეალური შერევის პერიოდული მოქმედების რეაქტორის მატერიალური ბალანსის განტოლება:

$$\tau = - \int_{C_{A,0}}^{C_A} \frac{dC_A}{u_A(C_A)} = C_{A,0} \int_0^{X_A} \frac{dX_A}{u_A(X_A)}, \quad (1)$$


სადაც  $t$  არის სარეაქციო ნარევის რეაქტორში დაყოვნების დრო, რომელიც აუცილებელია  $X_A$  გარდაქმნის ხარისხის მისაღწევად;

$u_A(C_A)$ , ან  $u_A(X_A)$  - რეაქციის კინეტიკური განტოლებებია.



ნახ. 1. იდეალური შერევის პერიოდული მოქმედების რეაქტორის მახასიათებლები

მოცემულ სამუშაოში შეისწავლება ძმარმჟავას ეთოლის ეთერის (ეთილაცეტატის) ტუტით გასავპნის მეორე რიგის რეაქციის კინეტიკა.



კინეტიკური განტოლება ასეთია:

$$u_A = kC_A C_B = kC_A (C_{B,0} - C_{A,0} + C_A) \quad 71$$

(3)

სადაც  $k$  არის ქიმიური რეაქციის სიჩქარის მუდმივა. განტოლება (3) შემდეგნაირად წარმოვადგინოთ:

$$u_A = kf(C_A),$$

მაშინ (1) განტოლება შეიძლება ასე ჩავწეროთ:

$$k\tau = - \int_{C_{A,0}}^{C_A} \frac{dC_A}{f(C_A)} = F(C_A) \quad (4)$$

(4) განტოლების შესაბამისად დამოკიდებულება  $\tau$ -სა და  $F(C_A)$ -ს შორის წრფივია; წრფის დახრის კუთხის ტანგენსის სიდიდის მიხედვით შეიძლება რეაქციის სიჩქარის მუდმივას განსაზღვრა. ამისათვის დროის სხვადასხვა მომენტში ექსპერიმენტით მიღებული რეაგენტების კონცენტრაციების მნიშვნელობათა მიხედვით აგებენ  $F(C) = \phi(\tau)$  დამოკიდებულების გრაფიკს.

რადგანაც ექსპერიმენტით მიღებული წერტილებისათვის, ჩვეულებრივ, დამახასიათებელია გარკვეული გაბნევა, წრფივი დამოკიდებულების ასაგებად მიზანშეწონილია უმცირეს კვადრატთა მეთოდის გამოყენება. ფუნქციის კონკრეტული სახე მეორე რიგის შეუქცევადი რეაქციისათვის დამოკიდებულია რეაგენტების თანაფარდობაზე.

თუ ტუტე ეთილაცეტატზე M-ჯერ მეტი რაოდენობით არის აღებული, ე. ი.  $C_{B,0}/C_{A,0} = M$ , სტექიომეტრიული თანაფარდობების გათვალისწინებით, შეიძლება დაიწეროს:

$$C_B = C_{B,0} - C_{A,0} + C_A = C_{A,0}(M - X_A), \quad (5)$$

მაშინ

$$U_A = kC_{A,0}^2 (1 - X_A)(M - X_A).$$

(6)

და მატერიალური ბალანსის განტოლება (1) ასეთ სახეს მიღებს:

$$\tau = C_{A,0} \int_0^{x_A} \frac{dX_A}{kC_{A,o}^2 (1-X_A)(M-X_A)}. \quad (7)$$

რომლის ინტეგრირების შედეგადაც:

$$k\tau = F_1(C_B) \quad (8)$$

სადაც

$$F_1(C_B) = \frac{1}{C_{A,0}(M-1)} \ln \frac{C_B}{M(C_{A,0} - C_{B,0} + C_B)}.$$

მეორე რიგის რეაქციისათვის, როცა  $M \neq 1$ , ექსპერიმენტული წერტილები  $F_1(C_B) - \tau$  კოორდინატებში უნდა განლაგონენ წრფეზე, რომლის კუთხის ტანგენსი განსაზღვრავს  $k$ -ს (ნახ. 2).

როცა  $C_{A,0} = C_{B,0}$  კინეტიკური განტოლება ასე ჩაინტერება:


$$u_A = kC_A^2. \quad (9)$$

მისი ჩასმით მატერიალური ბალანსის განტოლებაში (1), მივიღებთ:


$$\tau = - \int_{C_{A,o}}^{C_A} \frac{dC_A}{kC_A^2} = \frac{1}{k} \left( \frac{1}{C_A} - \frac{1}{C_{A,o}} \right), \quad (10)$$

$$\text{ან } \frac{1}{C_A} = \frac{1}{C_{A,o}} + k\tau. \quad (11)$$

განტოლება (11) არის  $1/C_{A,0} - \tau$  კოორდინატებში აგებული წრფე, რომელიც ორდინატთა დერძზე მოკვეთს  $1/C_{A,0}$  მონაკვეთს (ნახ.3).



ნახ. 2.  $F_1(C_A)$ -ს დამოკიდებულება  
რეაგენტების პერიოდულ რეაქტორში  
დაყოვნების დროისაგან



ნახ. 3. გრაფიკი რეაქციის სიჩქარის  
მუდმივას განსაზღვრისათვის რეაგენტების  
სტექიომეტრიული ნარევით ჩატარებული  
ცდებისათვის

ავაგებთ რა ექსპერიმენტული წერტილებით წრფეს ამ კოორდინატებში, კუთხის ტანგენსის მიხედვით განვსაზღვრავთ  $k$ -ს.

აქტივაციის  $E$  ენერგიის განსაზღვრისათვის ვიყენებთ არენიუსის განტოლებას:

$$\ln k = \ln k_0 - \frac{E}{RT}. \quad (12)$$

თუ ავაგებთ მიღებულ წრფივ დამოკიდებულებას


$$\ln k = f(1/T),$$

შეიძლება განვსაზღვროთ აქტივაციის ენერგია ამ წრფის და-  
ხრის კუთხის ტანგენსის მიხედვით

$$\operatorname{tg} \alpha = -E/RT, \text{ სადაც } R = 8,314 \text{ ჯოული} \cdot \text{მოლი}^{-1} \cdot \text{K}^{-1}.$$

ლაბორატორიული დანადგარის აღწერა

ექსპერიმენტი ტარდება დანადგარზე, რომელიც  
გამოსახულია ნახ. 4-ზე.



ნახ. 4. იდეალური შერევის  
პერიოდული მოქმედების რეაქტორის  
სქემა

რეაქტორი არის სპილენბის ცილინდრული ჭურჭელი  
3, რომელიც აღჭურვილია მექანიკური სარევით 1; იგი ჩად-

გმულია მეორე ჭურჭელში 4, რომელიც თერმოსტატის ფუნ-  
ქციას ასრულებს. მოცემული ტემპერატურის უზრუნველსაყო-  
ფად პერანგში 3 და 4 ჭურჭლებს შორის განუწყვეტლივ შე-  
დის თერმოსტატიდან (ნახაზზე ნაჩვენები არ არის) განსაზ-  
ღვრული ტემპერატურის წყალი. რეაქტორში ტემპერატურა  
ყენდება საკონტაქტო თერმომეტრის საშუალებით.

რეაგნენტების – 0,1 მოლურ ეთილაცეტატისა და 0,1 ნ  
ნატრიუმის ტუტის – ხსნარების განსაზღვრულ რაოდენობებს  
ასხამენ რეაქტორში მის სახურავში დატანებული ხვრელიდან.  
რეაქციის მიმდინარეობის შესაბამისად NaOH-ის კონცენტრა-  
ცია მცირდება. შესაბამისად მცირდება ხსნარის ელგამტარო-  
ბა. NaOH-ის კონცენტრაციის ცვლილება იზომება კონდუქ-  
ტომეტრით სარეაქციო ნარევის ელექტროგამტარობის ცვლი-  
ლების მიხედვით.

სამუშაო შემდეგი თანამიმდევრობით სრულდება: ჩარ-  
თავენ თერმოსტატს 4. საკონტაქტო თერმომეტრით აყენებენ  
მოცემულ ტემპერატურას. რეაქტორში ძაბრის საშუალებით  
ასხამენ ეთილაცეტატის 0,1 მოლური ხსნარის საჭირო რაო-  
დენობას და ჩართავენ სარევს 1. ამზადებენ კონდუქტომე-  
ტრს გაზომვებისათვის და რეაქტორში ათავსებენ ელექტრო-  
დებს 2. კონდუქტომეტრს აერთებენ თვითჩამწერთან რომლის  
ლენტზე ასევე ფიქსირდება ხსნარის ელექტროგამტარობის  
ცვლილება. სწრაფად ასხამენ რეაქტორში 0,1 ნ NaOH-ის  
საჭირო რაოდენობას. ჩასხმის დაწყებასთან ერთად ჩართავენ  
წაშსაზომს. მიმდინარე კონცენტრაციების  $C_A$  მნიშვნელობებს  
იღებენ როგორც კონდუქტომეტრის სკალიდან, ასევე თვით-  
ჩამწერის ლენტიდან. მიღებული მონაცემები შეაქვთ I და II  
ცხრილებში.

#### დავალებათა ვარიანტები

##### I ვარიანტი

- ჩაატარეთ ცდა რეაგენტების კონცენტრაციის ცვლილების დროისაგან დამოკიდებულების დასადგენად (კინეტიკური მრუ-დები) რეაგენტების სტექიომეტრიული და არასტექიომეტ-რიული ნარევებისათვის მოცემულ ტემპერატურაზე.
- ყოველი ცდისათვის განსაზღვრეთ ქიმიური რეაქციის სიჩ-ქარის  $k$  მუდმივა.

## II ვარიანტი

- ჩაატარეთ ცდა რეაგენტების კონცენტრაციის ცვლილების დროისაგან დამოკიდებულების დასადგენად (კინეტიკური მრუ-დები) რეაგენტების სტექიომეტრიული და არასტექიომეტ-რიული ნარევებისათვის მოცემულ ტემპერატურაზე.
- ყოველი ცდისათვის განსაზღვრეთ ქიმიური რეაქციის სიჩ-ქარის  $k$  მუდმივა.
- განსაზღვრეთ რეაქციის აქტივაციის ენერგიის სიდიდე.

## I ცხრილი

ატოლაცეტატის გასაპვნის რეაქციის  
კინეტიკის გამოკვლევა

$t$ , წთ	$C_B$ , $\text{გმოლი}/\text{მ}^3$	$C_A$ , $\text{გმოლი}/\text{მ}^3$	$C_{A,\text{სან}}$

## II ცხრილი

ექსპერიმენტული მონაცემების დამუშავების შედეგები

ცდის ნომერი	T, K	$M=C_{B,0}/C_{A,0}$	$k, \text{მ}^3 \cdot \text{წთ}^{-1} \cdot \text{გმოლი}^{-1}$

ექსპერიმენტის შედეგების დამუშავება

## 1. რეაგენტების საწყისი კონცენტრაციების განსაზღვრა

რეაქტორში A და B რეაგენტების შერევის შედეგად დასაწყისში ისინი ზავდება სარეაქციო სივრცის გადიდების გამო. ამიტომ საწყისი კონცენტრაციები  $C_{A,0}$  და  $C_{B,0}$  განსხვავებული იქნება ამოსავალი რეაგენტების საწყისი კონცენტრაციებისაგან, რომელთა მნიშვნელობებია:

$$C_{A,\text{აძო}} = C_{B,\text{აძო}} = 0,1 \text{ გმოლი}/\text{მ}^3.$$

თუ გამოვიყენებთ იდეალური შერევის მოდელის დაშვებებს საწყისი კონცენტრაციების გაანგარიშებისათვის, შეიძლება შემდეგი განტოლებების გამოყენება:

$$C_{A,0} = \frac{C_{A,\text{აძო}} \cdot V_{A,0}}{V_{A,o} + V_{B,o}}; \quad C_{B,0} = \frac{C_{B,\text{აძო}} \cdot V_{B,0}}{V_{A,o} + V_{B,o}}.$$

## 2. რაგენტების მიმდინარე კონცენტრაციის განსაზღვრა

ტუტის კონცენტრაცია ( $C_B$ ) განისაზღვრება კონდუქტომეტრისა და თვითჩამწერი ხელსაწყოს ჩვენებების მიხედვით; ეთილაცეტატის კონცენტრაცია განისაზღვრება შემდეგი განტოლებით:

$$C_A = C_{A,0} - C_{B,0} + C_B.$$

### 3. ქიმიური რეაქციის სიჩქარის მუდმივას განსაზღვრა

ქიმიური რეაქციის სიჩქარის მუდმივას არასტექიომეტრიული ნარევების შემთხვევაში ანგარიშობენ (8) განტოლებით, ხოლო სტექიომეტრიული ნარევებისათვის – (11) განტოლებით. მიღებული ექსპერიმენტული და გამოთვლილი დამოკიდებულებანი გადააქვთ  $F(C) = \phi(t)$  კოორდინატებში აგებულ გრაფიკზე.

### 4. რეაქციის აქტივაციის ენერგიის განსაზღვრა

რეაქციის აქტივაციის ენერგიას ანგარიშობენ (12) განტოლებით, ამისათვის აგებენ გრაფიკს  $\ln k - 1/T$  კოორდინატებში და საზღვრავენ აბსცისთა ღერძის მიმართ წრფის დახრის კუთხის ტანგენსს, სადაც  $\operatorname{tg}\alpha = -E/R$ .

დასრულებული სამუშაო აუცილებლად უნდა შეიცავდეს სრულ ანგარიშს ერთ-ერთი ცდისათვის.

## VIII სამუშაო

### ლითონების მომინანქრება

მინანქარი არის თხელი, გაუმჭვირვალე მინისებრი საფარი, რომელიც იცავს ლითონის ნაკეთობას აგრესიული სითხეებისა და აირების ზემოქმედებისაგან და თანაც აძლევს მას ლამაზ გარეგნულ იერს.

მინანქარი, მინის მსგავსად, მიიღება მთის ქანების შეღწობით ე. წ. მდნობებთან. ჩვეულებრივ იყენებენ შემდეგ ქანებს: კვარცის ქვიშას, მინდვრის შპატს და ჰეგმატიტს. მდნობებს მიეკუთვნება სოდა, ბორაკი, პოტაში, გვარჯილა და სხვა მასალები, რომლებიც მთის ქანებთან ქმნიან ადვილ-დნობად ნაერთებს. მთის ქანები და მდნობენი, ჩვეულებრივ, მინანქრის შედგენილობს 80-85%-ია. ამ მასალების შედნობით მიიღება მეტად თუ ნაკლებად გამჭვირვალე მინა. ასეთი მინა არ გამოდგება ლითონის ზედაპირის დასაფარად, რადგან მასში გამოსჭვივის ლითონი, რაც აფუჭებს ნაკეთობის გარეგნულ სახეს. ამიტომ ამ მასალებს უმატებენ ე. წ. „გამყუჩებელებს”, ანუ ნივთიერებებს მინისათვის გაუმჭვირვალობის მისანიჭებლად და სალებავებს - სასურველი ფერის მისაცემად. გამყუჩებლებად გამოიყენება მდნობი შპატი, კრიოლითი, ნატრიუმის სილიციუმ-ფრორიდი და კალის, სტიბიუმის, ცირკონიუმისა და ტიტანის ოქსიდები. სალებავებად – სპილენდის, ქრომის, კობალტის, ნიკელისა და სხვა ლითონების ოქსიდები. ყველა აღნიშნულ მასალას წინასწარ აშრობენ, აქუცმაცებენ; შემდეგ ურევენ საჭირო პროპორციით და შეადნობენ ღუმელში  $1150-1300^{\circ}\text{C}$ -ზე. ამ ტემპერატურაზე კაზმში მიმდინარეობს მრავალი ფიზიკური და ქიმიური გარდაქმნა; იგი დნება, ლლვება და იქცევა ერთგვაროვნების ბლანტ მასად. ამ მასას ეწოდება მინანქრის შენადნობი. მას ჩაუშვებენ ცივ წყალში, სადაც სწრაფად გაცივების გამო იმსხვრევა მცირე ზომის გრანულებად.

მინანქარს ნაკეთობის ზედაპირზე აფენენ ორი ხერხით: მშრალი (ფხვნილის მეთოდი) - წმინდად დაქუცმაცებული 80

ფხვნილის სახით და სველი (შლიკერის მეთოდი) – მინანქრის წყალ-სუპერზის სახით, რომელსაც შლიკერი ეწოდება. შემდეგ დანაფარიან ნაკეთობას გამოწვავენ  $800\text{-}900^{\circ}\text{C}$ -ზე. გამოწვის შედეგად მინანქრის ნაწილაკები შეადნება ერთმანეთს და წარმოიქმნება ერთიანი მინისებრი დანაფარი. კარგი შედეგები მიიღება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ნაკეთობას თანამიმდევრობით ფარავენ ორი სახის მინანქრით: ფუძე მინანქრით, რომელსაც აფენენ უშუალოდ ლითონის ზედაპირზე და დამტარავი მინანქრით, რომელიც უკვე გამომწვარ ფუძე მინანქარზე უნდა დაეფინოს. დანიშნულების მიხედვით მინანქარი შეიძლება იყოს ტექნიკური და მხატვრული. ტექნიკური მინანქრით ძირითადად ფარავენ თუჯისა და ფოლადის ნაკეთობებს, კოროზისაგან დაცვის მიზნით. მხატვრული ან საიუველირო მინანქარი გამოიყენება ოქროს, ვერცხლისა და სპილენძის ნაკეთობათა მოსაპირკეთებლად.

არ შეიძლება აქ არ აღვნიშნოთ, რომ მხატვრული მინანქრის ტექნოლოგიამ, რომელიც გასულ საუკუნეებში ჩაისახა, ჩვენს ქვეყანაში უმაღლეს დონეს მიაღწია. მთელ მსოფლიოში ცნობილია ქართული ტიხიწული მინანქრის მაღალმხატვრული ნიმუშები. ტიხიწული მინანქრის საიუველირო ნაკეთობათა დამზადების ტექნოლოგია, რომელიც ერთხანს დაკარგულად ითვლებოდა, ამჟამად ისევ აღორძინდა და წარმატებით ვითარდება.

მინანქრის დანაფარი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს: ა) მჭიდროდ ეკვროდეს ლითონს; ბ) უძლებდეს ტემპერატურის ცვლილებას, არ უნდა იძარებოდეს და ცილდებოდეს ლითონს; გ) იყოს თანაბარი და მოელვარე, ადვილად იწმინდებოდეს; დ) იყოს მკვრივი, ე. ი. არ უნდა ჰქონდეს ბზარები და ფორები; ე) არ უნდა იშლებოდეს ხსნარებისა და აირების მოქმედებით, რომლებსაც ეხება იგი ექსპლუატაციის დროს; ვ) არ უნდა შეიცავდეს ისეთ ნაერთებს,

რომლებმაც შეიძლება გააფუჭონ საკვები პროდუქტების ხარისხი.



მინანქრის დანაფარის ხარისხი დამოკიდებულია მის ფიზიკურ და ქიმიურ თვისებებზე, იმ ლითონის ხარისხზე, რომელზედაც არის დაფენილი, მომინანქრების ტექნოლოგიური პროცესის ყველა ოპერაციის სწორად წარმართვაზე.

მინანქრის ფიზიკურ-ქიმიური თვისებები მისი ქიმიური შედეგნილობის ფუნქციაა. უმნიშვნელოვანესი თვისებებია გაფართოების კოეფიციენტი, დნობის ტემპერატურა, სითბოტე-გადობა, თერმული მდგრადობა და სიმკრივე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მინანქრის გაფართოების კოეფიციენტი. თუ იგი აღემატება ლითონის გაფართოების კოეფიციენტს მინანქრის ფენაში წარმოიქმნება თმისებრი ბზარები, ხოლო თუ ნაკლებია – მინანქარი შორდება ლითონს. პრაქტიკულად მინანქრის გაფართოების კოეფიციენტი ფართო ზღვრებში იცვლება –  $270 \cdot 10^{-7}$ -დან  $340 \cdot 10^{-7}$  -მდე.

#### ფოლადის მინანქრით დაფარვისა და დანაფარის გამოცდის მეთოდება

1. ნაკეთობის მომზადება მომინანქრებისათვის. ნაკეთობის ზედაპირის ხენჯისა და ორგანული ჭუჭყისაგან გასაწმენდად, აგრეთვე ლითონში დაჭიმულობათა გასათანაბრებლად, მას გამოწვავენ მუფელიან ელექტროლუმელში  $850\text{-}860^{\circ}\text{C}$ -ზე 3-5 წთ-ის განმავლობაში. უფრო დაბალ ტემპერატურაზე ცნობილი და ზეთები შეიძლება მთლიანად არ ამოიწვას, უფრო მაღალზე კი იქმნება ნაკეთობის ძლიერი დეფორმაციისა და სქელი, ამოჭმის დროს ძნელად ხსნადი ხენჯის წარმოქმნის საშიშროება. ხენჯის კარგად მოცილების მიზნით გამოწვამდე ფირფიტებს ასველებენ  $\text{HCl}$ -ის ან  $\text{NH}_4\text{Cl}$ -ის 5%-იანი ხსნარით, ნიმუშებს ღუმელში ათავსებენ სპეციალურ სადგამზე ისე, რომ ჰაერი ეხებოდეს მთელ ზე-82

დაპირს. გამოწვა დამთავრებულად ითვლება როცა ნიმუში მი-იღებს ღუმლის წითლად ვარვარების ფერს  $650\text{-}850^{\circ}\text{C}$ -ის ინტერვალში. გამოწვის შემდეგ ნიმუშები უნდა გაცივდეს სადგამზე. კარგი გამოწვის ნიშნად ითვლება მოწითალო-შო-კოლადისფერი ხენჯი, რომელიც ადგილად ცილდება ფირ-ფიტას. ხენჯის მოშორების შემდეგ ფირფიტას ასუფთავებენ  $\text{HCl}$ -ის 20%-იანი ხსნარით ოთახის ტემპერატურაზე. გასუფ-თავების პროცესში ბევრად ურთიერთქმედებს რენასა და რკი-ნის ოქსიდებთან და წარმოიქმნება ხსნადი მარილები, აგრეს-ვე ხდება ხენჯის მექანიკურად მოცილება ლითონის ზედაპი-რიდან რეაქციის პროცესში გამოყოფილი წყლით:



გასუფთავების პროცესში წყალბადი აღადგენს სამგა-ლენტიანი რკინის მარილებს ორვალენტიანამდე:



(ბ) და (გ) რეაქციები ძლიერ ნელა მიმდინარეობს, რადგან  $\text{Fe}_2\text{O}_3$  და  $\text{Fe}_3\text{O}_4$  მჟავებში სუსტად იხსნება.

ამოჭმის შემდეგ ნიმუშს რეცხავენ წყლით; მუქი ფერის ნადებს აშორებენ ჩვრით, შემდეგ ჩარეცხავენ გამდინა-რე წყლით და გაანეიტრალებენ  $\text{Na}_2\text{CO}_3$ -ის 1%-იანი ცხელი ხსნარით. განეიტრალების ხანგრძლივობა 3-5 წუთია. ნეი-ტრალიზაციის შემდეგ ლითონის ზედაპირზე დარჩენილი ტენის მოსაცილებლად ფირფიტებს სწრაფად აშრობენ მუ-

ფელიან ღუმელში ან ელექტროქურაზე  $80\text{-}90^{\circ}\text{C}$ -ზე და მო-თავსებენ ექსიკატორში.

2. ფუძე მინანქრით დაფარვა. ნიმუშს ჩაუშვებენ მი-ნანქრის შლიკერში, ზედმეტს მოაშორებენ დაქნევით, ხოლო დარჩენილ ფენას სწრაფად გაათანაბრებენ ხელით. ფუძე მინა-ნქარს აფენენ თხელ ფენად, რომლის სისქე გამოწვის შემდეგ 0,1-0,12 მმ-ია. ფუძე მინანქრიან ნიმუშს სწაფად აშრობენ  $80\text{-}100^{\circ}\text{C}$ -ზე ელექტროქურაზე; შემდეგ დადგებენ სადგამზე და გამოწვავენ მუფელიან ელექტროლუმელში  $860\text{-}880^{\circ}\text{C}$ -ზე.

8-10 წუთის განმავლობაში გამოწვის პროცესში დაქუცმაცებული მინანქრის შლიკერის ნაწილაკები ქმნის ერ-თიან ფენას და მინის ფუძე მინანქარი ეკვრის ლითონს. გა-მოწვა დამთავრებულია როცა გავარვარებული ნიმუშისა და მუფელის კედლების ფერი ერთნაირი გახდება. სწორად გა-მომწვარი გრუნტის დანაფარი მომწვანო-შავი ფერისაა.

3. ძირითადი ძომინანქრება. მომინანქრების დროს მთავარი ყურადღება ფენის სისქეს უნდა მიექცეს; იგი თანა-ბარი უნდა იყოს. თუ შლიკერი თხელია და შპატელიდან უწყვეტ ნაკადად ჩამოედინება, მისი შედგენილობა შესაცვ-ლელია, რისთვისაც განუწყვეტელი მორევით უძატებენ ბო-რაკის ცხელი ხსნარის, კალციუმის ოქსიდის, სოდის ან პო-ტაშის ცივი ნაჯერი ხსნარის რამდენიმე წვეთს.

დამფარავ მინანქარს ნელა აშრობენ თერმოსტატში  $70\text{-}80^{\circ}\text{C}$ -ზე, რადგან სწრაფი გამოშრობისას იგი შეიძლება დასკდეს.

დამფარავ მინანქარს გამოწვავენ მუფელიან ღუ-მელში  $840\text{-}850^{\circ}\text{C}$ -ზე მანამ, სანამ ზედაპირი ბრწყინვალე არ გახდება. გამოწვის პროცესი შედარებით დაბალ ტემპერატუ-რაზე უნდა ჩატარდეს, რათა არ გადნეს ფუძე მინანქარი. იმის მიხედვით, თუ რა მოთხოვნილებებს უყენებენ ნაკეთო-ბას, დამფარავ მინანქარს აფენენ ერთ ან ორ ფრნად. შემდეგ

მზა ნაკეთობას გამოცდიან ქიმიურ, თერმულ და მექანიკურ მდგრადობაზე.

დამფარავი მინანქრის ფენის სისქე გამოწვის შემდეგ 0,15-0,20 მმ უნდა იყოს; ტიტანიანი მინანქრისათვის – 0,08-0,12 მმ.

4. მზა ნაკეთობათა გამოცდა. მინანქარი სხვადასხვა ქიმიური რეაგენტების, ატმოსფერულ ზემოქმედებათა გავლენით თანდათანობით იშლება, რაც გარეგნულად იმაში გამოიხატება, რომ იგი ჯერ ჰყარგავს ბრწყინვალებას, შემდეგ ხდება მქრქალი, ხაოიანი; ძლიერი მჟავები რამდენიმე წუთის განმავლობაში დუღილით მთლიანად შლის მინაქარს.

მინანქრის უნარს, გაუძლოს რეაგენტების ზემოქმედებას, ქიმიური მდგრადობა ეწოდება. არსებობს მინანქრის ქიმიური მდგრადობის განსაზღვრის რამდენიმე მეთოდი.

საორიენტაციო განსაზღვრისათვის სარგებლობენ ლაქით გასინჯვის მეთოდით. მომინანქრებული ნიმუშის ზედაპირზე აწვეთებენ მჟავას, ჩვეულებრივ ძმარმჟავას ან ლიმონმჟავას, 4-10%-იანი ხსნარის რამდენიმე წვეთს. დროის გარკვეულ მონაკვეთებში, მაგალითად, 1 წუთის შემდეგ მოწმენდენ თითო წვეთს; აღნიშნავენ დროს, რომლის განმავლობაშიც მინანქრის ზედაპირი ჰყარგავს ბრწყინვალებას.

თერმული მდგრადობა ეწოდება მასალის უნარს გაუძლოს ტემპერატურის მკვეთრ ცვლილებას. თერმულ მდგრადობას ახასიათებენ თბოცვლათა რაოდენობით ან ტემპრატურათა მაქსიმალური ვარდნით, რომელსაც უძლებს მასალა, სანამ დაიშლებოდეს. თერმული მდგრადობა მომინანქრებულ ნაკეთობათა ხარისხის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელია, რადგან ექსპლუატაციის პროცესში ხშირად მათ უხდებათ მუშაობა ტემპერატურათა მკვეთრი ცვლილების პირობებში.

მინანქრის თერმულ მდგრადობას მრავალი ფაქტორი განსაზღვრავს. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მინანქრის

ფენაში წარმოქმნილ დაჭიმულობას. მინანქრის თერმული გაფართოების კოეფიციენტი ნაკლებია ლითონისაზე, ამიტომ სწრაფად გაზურებისას მინანქრის ფენაში წარმოქმნება კუმშვის დაჭიმულობა, სწრაფად გაცივებისას კი – გაჭიმვისა. მინანქრის დანაფარის თერმული მდგრადობა დამოკიდებულია, აგრეთვე, ლითონთან მისი შეჭიდვის სიმტკიცესა და სისქეზე; რაც უფრო სქელია მინანქრის ფენა, მით ნაკლებად მდგრადია იგი. თერმულ მდგრადობაზე ძლიერ მოქმედებს გაცივების სიჩქარე, გამაცივებელი გარემოს სახე და თვისებები. მინანქრის დანაფარი ჰაერზე გაცივებით უფრო ნაკლებად ზიანდება, ვიდრე წყლით გაცივებისას.

თერმულ მდგრადობაზე მინანქრის გამოსაცდელად ხშირად იყენებენ შემდეგ მეთოდს: მომინანქრებულ ნაკეთობებს ათავსებენ წინასწარ  $200^{\circ}\text{C}$ -მდე გაზურებულ ღუმელში, აყოვნებენ იქ 20 წთ-ის განმავლობაში და აცივებენ წყალში. გამოცდას იმეორებენ მანამ, სანამ მინანქრის დანაფარი არ დაიწყებს დასკდომას ან ატკოჩვას. თერმული მდგრადობის მაჩვენებლად ღებულობენ იმ მაქსიმალურ ტემპერატურას, რომელსაც დაუზიანებლად გაუძლო დანაფარმა.

## ლიტერატურა

- რ. გაფრინდაშვილი. ზოგადი ქიმიური ტექნოლოგია. “ტექნიკური უნივერსიტეტი”, თბილისი. 2003.
- რ. გაფრინდაშვილი, მ. ღვინიანიძე, ე. ზაქარიაძე. ლაბორატორიული პრაქტიკუმი ზოგად ქიმიურ ტექნოლოგიაში. თბილისი, “ტექნიკური უნივერსიტეტი”, 1991. 87 გვ.
- В. С. Бесков. Общая химическая технология. Москва. Академкнига. 2006.
- А. Я. Авербух и др. Практикум по общей химической технологии. Москва. Высшая школа. 1979.

წინასიტყვაობა . . . . .	3
I სამუშაო. სულფიდური მადნების გამოწვა . . . . .	4
II სამუშაო. ნატრიუმის ტუტის მიღება ფერიტული . . . . .	
მეთოდით . . . . .	14
III სამუშაო. ნავთობპროდუქტების სიბლანტის . . . . .	
განსაზღვრა . . . . .	24
IV სამუშაო. ნავთობპროდუქტების კატალიზური . . . . .	
კრეკინგი . . . . .	35
V სამუშაო. აირის ანალიზი . . . . .	46
VI სამუშაო. ნატრიუმის ქლორიდის . . . . .	
წყალსსნარის ელექტროლიზი . . . . .	55
VII სამუშაო. იდეალური შერევის პერიოდული . . . . .	
მოქმედების რეაქტორის გამოკვლევა . . . . .	68
VIII სამუშაო. ლითონების მომინანქრება . . . . .	78
ლიტერატურა . . . . .	86

## სარჩევი